ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲕᲠᲘᲘᲐ

№6 მარტი 2024

ზურაბ გურული
„პატარა სოფელი“ და დიდი საერთაშორისო კონტექსტი

ნინო კალანდაძე
დემოკრატიობანა მიტაცებულ სახელმწიფოში

ბუბა კუდავა
ქალის გამეფების რევოლუცია

გუგა სულხანიშვილი
თბილისი იყო ურთიერთობა

ახალი ივერია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

№6, მარტი, 2024
ISSN 2720-8729

ააიპ „ჭავჭავაძის ცენტრი“
გიორგი ახვლედიანის ქუჩა № 20
0108, თბილისი, საქართველო

ნომერზე მუშაობდნენ:
ზაზა ბიბილაშვილი
შამილ შუგაევი
კოკა თოფურია
ლაშა გაბელია
ქეთი ქურდოვანიძე
გიორგი ხარებავა
გიგა ჯოხაძე

სარჩევი

4 მთავარი რედაქტორის სვეტი

ზაზა ბიბილაშვილი

მეხსიერება დეზინფორმაციის ხანაში



6 საჭირბოროტო საკითხავი

ზურაბ გურული

„პატარა სოფელი“ და დიდი საერთაშორისო კონტექსტი

9 პოლიტიკა

ნინო კალანდაძე

დემოკრატიობანა მიტაცებულ სახელმწიფოში

14 აფხაზეთი

დოდო ჭუმბურიძე, ბეჟან ხორავა

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და აფხაზეთი

30 ფერადი ისტორიები

ბუბა კუდავა

ქალის გამეფების რევოლუცია

ახალი ივერია
#6, 2024

33 საზოგადოება
ზაზა ბიბილაშვილი
სივიწროვე

37 საზოგადოება
ქეთი ქურდოვანიძე
ოლიგარქი და სხვა ფიზიკური პირები

41 დეოკუპაცია
გიორგი არზიანი
აფხაზეთის ომის საკითხი 30-ე წლისთავზე

44 საბჭოთა მოგზაურის ჩანაწერები
გიორგი ანთაძე
LA DOLCE VITA

51 კულტურა
ლევან სებისკვერაძე
ქართული მეღვინეობის აქილევსის ქუსლები



54 კულტურა

ლევან გურიელიძე

ერთხელ გაგრის ბარში

58 კულტურა

გუგა სულხანიშვილი

თბილისი იყო ურთიერთობა

62 დათო გაგოშიძის ნახატები

ზაზა ბიბილაშვილი

მეხსიერება დეზინფორმაციის ხანაში

წარსული არასდროსაა მკვდარი, წარსული წარსულიც კი არ არისო, უთქვამს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს, უილიამ ფოლკნერს. და მართლაც - ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა ისტორიით მანიპულირება ადამიანების ცნობიერების დაპატრონებისა და მათი მომავლის მიტაცების ინსტრუმენტად ქცეულა ანტიდემოკრატიული ძალების ხელში.

„მკვლელები, ჯალათები, მწამებლები“ - „სისხლიანი სამი წელი“ - „ქართველმა ხალხმა თავისუფლად იწყო სუნთქვა“ - გეცნობათ ეს ფრაზები? არა, ისინი ჩვენი უახლესი წარსულიდან არ გვეხმიანებიან. ეს 1920-იანი წლების ბოლშევიკური პროპაგანდაა საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გავიდა 70 წელი და პოსტსაბჭოთა რუსეთმა იდენტური კლიშეებით გაჟღინთა იმპერიის მარწუხებიდან ახლად გათავისუფლებული საქართველოს საჯარო დისკურსი, რამაც შეიარაღებული გადატრიალება მოამზადა და 1990-იანი წლების ჯოჯოხეთს დაუდო სათავე.

ვისწავლეთ რამე? რიტორიკული კითხვაა...

არ გავაგრძელებ საუბარს იმაზე, თუ როგორ დაბრუნდა ეს კლიშეები, სულ რაღაც, 20 წელიწადში - უცვლელი ფორმით, უცვლელი პათოსითა და ხშირად უცვლელი სპიკერებითაც კი.



წარსულის კრიტიკული გააზრება თუ გადააზრება, თვითრეფლექსია, ქვეყნის მიერ განვლილი გზისა და მიღებული გადაწყვეტილებების პირუთვნელი გაანალიზება სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად აკლია კოლექტიურ ქართველს და ყველაზე მეტად აფერხებს მის განვითარებას.

ამ ფონზე მზრუნველი ხმები გვიკიჟინებენ, დიდ ყურადღებას უთმობთ წარსულს, რაღა დროს წარსულზე საუბარია ამ გაგანია XXI საუკუნეში, როცა ევროკავშირის კარზე ვაკაკუნებთო.

არადა, მარტივია: წარსულის კრიტიკული გააზრება თუ გადააზრება, თვითრეფლექსია, ქვეყნის მიერ განვლილი გზისა და მიღებული გადაწყვეტილებების პირუთვნელი გაანალიზება სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად აკლია კოლექტიურ ქართველს და ყველაზე მეტად აფერხებს მის განვითარებას.

რუსული საბჭოთა ოკუპაციის გამო, ჩვენ ხომ არც მოდერნიზმის ეპოქა გაგვივლია და არც პოსტმოდერნიზმისა. და როგორც მოდერნიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა, მარსელ პრუსტი იტყოდა, სულ უნდა გვახსოვდეს, რომ წარსული სადღაც, ჩვენ წინაა ჩასაფრებული და როდის შემოგვხვდება, არავინ იცის.

წარსულის გადაუწყვეტელი დილემები და განუმუხტავი ემოციები დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქცევას აწმყოში, მიმდინარე გამოწვევების პირისპირ. წარსულის დავიწყება საქმეს უადვილებს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელიც ცდილობს, ქართველების ყოველი მომდევნო თაობა ერთსა და იმავე დაჟანგულ ხაფანგში გააბას.

ისტორიაზე მსჯელობა „წარსულში ქექვა“ კი არა, მომავალზე ორიენტირებული მეცადინეობაა, რომლის მიზანიც თვითშემეცნება, რაციონალური მოქალაქეობრივი იმპულსის გაძლიერება და საზოგადოების მედეგობის გაზრდაა.

ამრიგად, ისტორიაზე მსჯელობა „წარსულში ქექვა“ კი არა, მომავალზე ორიენტირებული მეცადინეობაა, რომლის მიზანიც თვითშემეცნება, რაციონალური მოქალაქეობრივი იმპულსის გაძლიერება და საზოგადოების მედეგობის გაზრდაა.

რას გვთავაზობენ ამის საპირწონედ? ბანალურ, დაზეპირებულ ფრაზებსა და წარსულის ნოხის ქვეშ „შეგვას“. კონფორმიზმს. დავიწყებას. ეს კი „მოჯადოებულ წრეზე სიარულის“ გარანტირებული რეცეპტია, რაზეც მერე თავად კეთილშობილი კონფორმისტები მოთქვამენ.

...თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვისო, უთქვამს ძველ რომაელს. ევროპას რომ ეს მაქსიმა ხსომებოდა და, „ისტორიის დასასრულის“ ილუზიით ატანილს, განცხრომაში არ გაეტარებინა ბოლო წლები, სანამ რუსეთი თავისუფლებაზე რევანშს გეგმავდა, ვინძლო დღეს კონტინენტზე სხვა სურათი ყოფილიყო.

ყველაზე მცირე, რაც შეგვიძლია დეზინფორმაციის ხანაში ჩვენი თავისუფლების დასაცავად გავაკეთოთ, უახლესი ისტორიის მეხსიერების გაცოცხლება და სამოქალაქო ფარად ქცევაა. წარსულის სწორედ ასეთ, მომავალზე ორიენტირებულ, გააზრებას ემსახურება ჩვენი ძალისხმევა.

ზურაბ გურული

„პატარა სოფელი“ და დიდი საერთაშორისო კონტექსტი



დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველო მსოფლიო პოლიტიკური კონტექსტიდანაც ამოაგდო. რუსეთის იმპერიის პროვინციისათვის საერთაშორისო პოლიტიკის ნიუანსების განხილვა სრულიად უსარგებლო პერსპექტივად იქცა. ილია ჭავჭავაძემ ამ მიმართულებითაც გატეხა ყამირი. მის პოლიტიკურ მიმოხილვებს ხაზგასმული ზოგადსაკაცობრიო აქცენტი ჰქონდა და არა რუსული სახელმწიფოს პოლიტიკურ პრიზმაში გატარებული ელფერი. 1889 წელს, როდესაც ილია ევროპა-ამერიკის მერმისზე მსჯელობდა, 23-ე პრეზიდენტი ბენჯამენ ჰარისონი ცხოვრობდა თეთრ სახლში. დღეს ამერიკას 46-ე პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. როდესაც „ახალი ივერიის“ დამფუძნებლებმა ჟურნალში საკუთარი რუბრიკის წაყვანა მთხოვეს, უნებლიეთ დავფიქრდი ამ ფაქტზე. ოცდამესამე პრეზიდენტიდან ზუსტად ოცდასამმა პრეზიდენტმა ჩაიარა „ივერიიდან“ „ახალ ივერიამდე“ და სულ რამდენიმე კვირის წინ ჩამთავრდა 2023-იც, ურთულესი პოლიტიკური წელი როგორც მთელი პლანეტისათვის, ისე ჩვენი პატარა ქვეყნისთვისაც. როგორ ვუცქერით დღეს საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტს საქართველოდან? როგორია ჩვენი აღქმა?

ჩვენს პოლიტიკურ ელიტას შესწევს იმის ძალა, რომ საშუალოსტატისტიკურ ქართველ მოქალაქეს საერთაშორისო პრიზმაში დაანახოს საქართველოს შინაური და საგარეო პოლიტიკა? იქნებ ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ქართველები ისევ ვიწროპროვინციული ჭუჭრუტანიდან ვუთვალთვალებთ მსოფლიოს და შესაბამისად, ე.წ. დასავლურ ღირებულებებზე დამახინჯებული, პროფანირებული წარმოდგენა გვაქვს?

დოქტრინა - „საქართველო პატარა სოფელია“ - თავისთავად ნიშნავს მსოფლიო პოლიტიკური კონტექსტიდან თავის გარიყვას და საერთაშორისო პოლიტიკურ ამინდზე პროვინციული პრიზმიდან თვალთვალს. ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ შექმნილი ფორმულაა, რომელიც შეუძლებელს ხდის საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებას.

2024 წელი უაღრესად მნიშვნელოვანი საარჩევნო წელია მთელ მსოფლიოში. არჩევნები ჩატარდება საქართველოშიც და ამერიკაშიც. რა არგუმენტები აქვს ქართულ ოპოზიციას ქართველი ამომრჩევლებისათვის და რა პლატფორმით დაუპირისპირდება „პატარა სოფლის“ დოქტრინას? რატომ მოხდა ისე, რომ ერთი შეხედვით უფრო პროგრესულ ოპოზიციურ სპექტრს პრაქტიკულად ნულოვანი საერთაშორისო ავტორიტეტი და კონტაქტები აქვს? რატომ და როგორ ამოვვარდით ისევ საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტიდან? ვისი ბრალია? მხოლოდ რუსული სპეცსამსახურების კოლოსალური ზეგავლენის? რა არგუმენტები გვაქვს ასეთი ფიასკოსათვის? მხოლოდ ეგზისტენციალური კატეგორიის ბოდიშები?

1889 წელს ევროპის მილიტარიზაციასა და ამერიკის ეკონომიკურ ბუმზე სერიოზული მსჯელობა ალბათ ფრიად კომიკურად მოჩანდა ქართული სოციუმის იმჟამინდელი პრობლემების ფონზე, მაგრამ ილია მაინც აიძულებდა თანამედროვე ქართველს, თავი ისევ მსოფლიო მოქალაქედ მიეჩნია და ზოგადსაკაცობრიო კრიტერიუმებით ეაზროვნა. რას ვაკეთებთ დღეს ამ მიმართულებით? ვის ევალება საზოგადოების პოლიტიკური განათლება? დარჩა კი ქვეყანაში რეალური პოლიტიკური ელიტა, თუ ისიც სრულ პროფანაციას დაექვემდებარა?

ძალიან ბევრი შეკითხვა დავსვით და არცერთი ეს შეკითხვა არ არის რიტორიკული. ყველას უნდა მოეძებნოს პასუხი, რადგან ამ პასუხებს ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს ქართული სახელმწიფოს არსებობისათვის. თანდათან თავადაც გავიაზრე, თუ რის შესახებ იქნება ჩემი რუბრიკა, რა თემებზე მსურს მკითხველებთან საუბარი, რა უნდა ვისწავლოთ ერთად და რაზე უნდა ვიმსჯელოთ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ სერიოზული ნაბიჯი გადადგა მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტში დასაბრუნებლად, მაგრამ პოლიტიკური პროვინციალიზმის დაძლევა მაინც ვერ მოვახერხეთ. გავიხსენოთ 2008 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება, როდესაც იმჟამინდელი ქართული პოლიტიკური ელიტა ხაზგასმითა და დაუფარავად გულშემატკივრობდა ჯონ მაკკეინს. ამერიკელებმა პრეზიდენტად ბარაკ ობამა აირჩიეს და მერე რაც მოხდა, თავადაც იცით. რა დასკვნები გამოიტანა ქართულმა პროგრესულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ამ გაკვეთილიდან?

უაღრესად კონტროვერსიული და დაძაბული ვითარებაა ამჟამად ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში. როგორ ემზადება ქართული პოლიტსპექტრი 2024-ის ამერიკული არჩევნების შედეგებისათვის? თუნდაც ერთი ნაბიჯით გავცდით 2008 წელს გამოვლენილ პოლიტიკურ პროვინციალიზმს?

სამწუხაროდ, ვერაფერიც ვერ ვისწავლეთ. ქართული კრიტიკული მედია მთლიანად და უპირობოდ იკვებება მხოლოდ ერთი მიმართულების ამერიკული საინფორმაციო წყაროებიდან და ისევ საკუთარი ფავორიტი ჰყავს, როგორც 2008 წელს. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა ქართული ოპოზიციური სპექტრი ისევ საერთაშორისო პოლიტიკური ლობის გარეშე დარჩეს მსოფლიოს პირველ ქვეყანაში, აქედან გამომდინარე - ყველა სავალალო შედეგით შინაურ პოლიტიკურ ფრონტზე.

ვისი ბრალი იქნება ეს?

ქართულმა ოპოზიციამ გადაწყვიტა 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი არსებითი გარანტიები არ მიუღია მთავრობისაგან საარჩევნო კომისიის ახალ შემადგენლობაზე ან საარჩევნო პროცესის უკეთ ორგანიზებაზე. ამასთან, ოპოზიციას არ გააჩნია არანაირი გამაერთიანებელი ეროვნული პოლიტიკური დოქტრინა, გარდა ერთი უბადრუკი სლოგანისა:

„ყველანი ივანიშვილის წინააღმდეგ!“ - რამდენად იმუშავებს ეს ლოზუნგი? არსებობს სათადარიგო გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტი ჩვენთვის არასახარბიელო მიმართულებით განვითარდება? რა არგუმენტები ექნებათ ე.წ. „მშვიდობის მტრედებისათვის“? რანაირად დაარწმუნებენ ამომრჩევლებს, რომ დემოკრატიული იდეალები უფრო აღმატებულია ბაზისურ ეგზისტენციალიზმზე? არის კი მათი მიზანი გადამწყვეტი გამარჯვება, თუ უბრალოდ პარლამენტში დეკორაციების ჩასანაცვლებლად იღვწის?

1889 წელს, როდესაც ილია ევროპა-ამერიკის პოლიტიკურ რეალობაზე მსჯელობდა, მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა, ეიძულებინა ქართველი, ფიქრი დაეწყო, ფიქრი და აზროვნება ვიწროპროვინციული ჩარჩოების მიღმა, რათა ნელ-ნელა შესჩვეოდა მსოფლიო მოქალაქის ამპლუაში საკუთარი თავის წარმოდგენას და შემდეგ, ერთ დღეს, შესძლებოდა მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტში საკუთარი ქვეყნის დაბრუნება.

ალბათ ამავეს უნდა შეეცადოს „ახალი ივერიაც“. თანამედროვე ქართველს უნდა ესმოდეს დემოკრატიული ღირებულებების არსი, კონცეფცია და დასავლეთზე არ უნდა ფიქრობდეს მხოლოდ მაღალი პენსიებისა და სასიამოვნო მოგზაურობების კრიტერიუმებით. ქართველმა უნდა დაძლიოს „პატარა სოფლის“ გრავიტაციული ველი და პროვინციული ორღობიდან გააღწიოს. ეს არის ამჟამინდელი ამოცანაც და საკეთებელიც.

...1889 წელს თავისუფლების მოედანს ერევნის მოედანი ერქვა, რუსთაველის გამზირს - გოლოვინის, ორი ძეგლი იყო მხოლოდ თბილისში, ვორონცოვისა და პუშკინის; რუსთაველის ძეგლის დადგმამდე ჯერ კიდევ 50 წელი დარჩენილი... და ილია წერდა ევროპისა და ამერიკის პოლიტიკურ მომავალზე.

2024 წელია. ვალდებული ვართ!

ნინო კალანდაძე

დემოკრატიობანა მიტაცებულ სახელმწიფოში

გასული წელი მსუყე პოლიტიკური სიახლეებით დასრულდა. საზოგადოებამ კვლავ იხილა პრორუსი ოლიგარქი ივანიშვილი, რაც მედიაში მის „მესამედ მოსვლად“ მოინათლა. ამას მოჰყვა კულუარული ინფორმაცია მოსალოდნელი სამთავრობო გადაადგილებების შესახებ, რაც მალევე დადასტურდა ორი ირაკლის როტაციით: ღარიბაშვილი პრემიერის სკამიდან პარტიის თავმჯდომარის სკამზე გადასვეს, ხოლო ოდესღაც გავრილოვის კრიზისის გამო ვითომ გვერდზე გაწეული კობახიძე პარტიის თავმჯდომარეობიდან პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადააბრძანეს.

„ოცნების“ მერვე ყრილობა, ტრადიციულად, გაჯერებული იყო ისტორიული რევიზიონიზმითა და გადმოქართულებული რუსული პროპაგანდისტული გზავნილებით. ივანიშვილის მმართველობის მეთორმეტე წელს აწ უკვე გადამდგარი ღარიბაშვილი, ისევე, როგორც მისი შემცვლელი კობახიძე, მადლობას უხდიდა მათ მიერ მეცენატად წოდებულ ოლიგარქს და უხვად გვამარაგებდა წინამორბედი ხელისუფლების „ცოდვებით“ 20 წლის წინანდელი საქართველოდან. და ვინაიდან გამეორება პროპაგანდის დედაა, „ოცნების“ მამები თუ ოლიგარქის მარიონეტები ყრილობის შემდგომ განცხადებებშიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებდნენ, რომ ომი არა რუსეთის, არამედ თურმე წინა ხელისუფლების ბრალი ყოფილა.

მიეცი საზოგადოებას გამოგონილი სანახაობა წინასაარჩევნოდ და მას რეალობისგან თავშესაფარი მასალა არ გამოელევა მორიგ სპექტაკლამდე, ანუ შემდეგ არჩევნებამდე. პოლიტიკურად ანგაჟირებული საზოგადოება მსწრაფლ დაკავდა შემოთავაზებული „სიახლეების“ ანალიზით. ზოგიერთმა ივარაუდა, რომ ბიძინას საარჩევნო ხმები გაუჭირდა, ზოგმაც ის, რომ ერთ

ირაკლის მეორედ მოსვლამ აწყინა, „ორჯერ გამეორება“ დასჭირდა, უფროსი შემოუწყრა და სხვა ირაკლით ჩაანაცვლა; ზოგმა კი ბრძანა - ეგ თავის ბიჭს ასე არ გაწირავს, აგერ ნახავთ, პრეზიდენტად მოგვივლენს, ახლა, როცა ბიძინას პარლამენტს პრეზიდენტების დანიშვნაც შეუძლიაო.

მოდი, ერთად განვიხილოთ განვითარებული და სავარაუდო მოვლენები:

უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ვერ მობრუნდები, თუ არსად წასულხარ. ივანიშვილი ქართული პოლიტიკიდან არასდროს წასულა. ვერ ნახავთ თავმოყვარე ადამიანს, რომელსაც შეიძლება მართლა სჯეროდეს, რომ „ოცნების“ რომელიმე არსებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ფინანსურ გადაწყვეტილებას ივანიშვილის გარეშე იღებდნენ. კომიკური და აბსურდულია თავად ივანიშვილის მიერ დასახელებული მიზეზი, თითქოს მისი „მესამედ მოსვლა“ გუნდზე ზედამხედველობას და „ჭარბად მოძლიერებული გუნდის ადამიანური ცდუნებებისგან დაცვას“, ანუ სახელისუფლებო კორუფციას, უკავშირდება. სამთავრობო სტრუქტურებში თუ არსებობს კორუფცია - და ვიცით, რომ ის არსებობს არა მხოლოდ ელიტური, არამედ, ამასობაში, საკმაოდ ყოფითი სახით - არსებობს იმიტომ, რომ თავად ოლიგარქია მისივე შექმნილი კორუფციული პირამიდის სათავეში. კორუფცია არის ივანიშვილის მიერ ნებადართული და წახალისებული ინსტრუმენტი, ოლიგარქიულ-ავტორიტარული მართვის ფორმა, რომლითაც ის აკონტროლებს სამთავრობო და ხელისუფლებასთან აფილირებულ ბიზნესელიტებს.



არც წინასაარჩევნოდ ოლიგარქის საჯაროდ გამოჩენაა სიახლე. პირიქით, ეს მისი ჩვეული ხელწერაა. თითქმის ყველა არჩევნების წინ ის ირჩევს საჯარო მიმართვის ამა თუ იმ ფორმას და მოევლინება ხოლმე საზოგადოებას ხან ვრცელი ეპისტოლეთი, ხანაც - საარჩევნო ბანერებზე გამოსახული. ხან მუქარით, ხან ხვეწნა-მუდარით (რომ კიდევ ერთხელ მისცენ შანსი), ხანაც - დადგმული ინტერვიუებით სამთავრობო ტელეეთერებში, სადაც მისი თითქოს უმისამართო ცნობიერების ნაკადი ზუსტად გვაუწყებს ხოლმე, როგორ და რა შედეგით აპირებს მორიგი „საარჩევნო გამარჯვების“ გაფორმებას.

და თუ ყურადღებით ვიქნებით, დავინახავთ, რომ ოლიგარქმა მიგვაჩვია, ვუსმინოთ მის გზავნილებს, რადგან სწორედ ამ გზავნილებს აღასრულებენ მისი მოჯამაგირეები შემდგომ. გავიხსენოთ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის პირველ ტურში მანამდე „დამოუკიდებელ კანდიდატად“ მორთმეულმა სალომე ზურაბიშვილმა ოლიგარქისთვის მოულოდნელი ფიასკო განიცადა. მაშინ ივანიშვილს ფრანგი ქალბატონის სასწრაფო ელიმინაცია ურჩიეს ყველა შესაძლო საჯარო პლატფორმიდან.

მეორე ტურის წინ ჩვენ ვიხილეთ ზურაბიშვილის საარჩევნო ბანერებზე გამოჭიმული ოლიგარქი და „ოცნების“ ფორმალური ლიდერები, რომლებიც გვაუწყებდნენ, რომ ზურაბიშვილი მათი „პრინციპული არჩევანი“ იყო, რომ მისი გაპრეზიდენტება სწორედაც რომ ივანიშვილის არჩევას ნიშნავდა, ხოლო ზურაბიშვილი ოდენ პირობითი სახელი იყო საარჩევნო ბიულეტენზე. და ეს ყველაფერი - ხელოვნურად გამოწვეული პოლარიზების ფონზე (არ დაგვავიწყდეს, რომ „შუის გაკრეფა“, ანუ რადიკალიზაცია და პოლარიზაცია, 2012 წლიდან ივანიშვილის ღიად დეკლარირებული საარჩევნო ტაქტიკაა).

სახელმწიფოში, სადაც პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, ძალოვანი უწყებები, ცენტრალური საარჩევნო კომისია, აუდიტის სამსახური, მსხვილი ბიზნესები, პარტიების, პოლიტიკოსებისა და მედიის დიდი ნაწილი არა კონსტიტუციით, არამედ ოლიგარქიული ვერტიკალის ძალით იმართება, დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარი ძნელიცაა და გულუბრყვილოც.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიც გემახსოვრებათ, როცა ივანიშვილმა, პრაქტიკულად, პირდაპირი ეთერით გასცა ინსტრუქცია, როცა თქვა, ვერც „ის ქალბატონი“ მოიგებს ზუგდიდშიო. იგულისხმებოდა ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი. ამ ინსტრუქციის შესაბამისად, რულოვსს, რომელმაც მოიგო მაჟორიტარული არჩევნების პირველი ტური, ხელისუფლებამ ორკესტრირებულად დაურბია რამდენიმე საარჩევნო უბანი, რითაც შეჯიბრება ოპოზიციისთვის წინასწარ განწირულ მეორე ტურში გადაიყვანა.

დღეს მის, ვითომ, მესამედ მოსვლასაც კონკრეტული საფუძველი და მიზანი აქვს. შიდა მოხმარების ამოცანა ახლაც, ცხადია, საკუთარი ამომრჩევლისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მაქსიმალური კონსოლიდაცია და, ამასთან, ამომრჩევლის პოლარიზაციაა: როდესაც ხელისუფალი არაფერს აკეთებს და დაპირებებს არ ასრულებს, მაღალჩინოსნები დაუსჯელად

კორუფციაში არიან ჩაბმულნი და ამ გზით ნაშოვნი დოლარებით საახალწლო ნაძვის ხეებს რთავენ; როცა ქვეყანაში ყვავის კრიმინალი, მოსამართლეებს კი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ასანქცირებს; როცა ქვეყანაში იზრდება მხოლოდ სიღარიბე, დოლარის კურსი და ოლიგარქიული ქონების ინდექსი, ხოლო ეროვნული ბანკი ამერიკის მიერ სანქცირებული ფეესბეს მაღალჩინოსნისთვის კომფორტის შექმნითაა დაკავებული, მხოლოდ პოლარიზაციის პირობებშია შესაძლებელი, ხელოვნურად შეთითხნილი მტრის ხატით გახვიდე ფონს.

მორიგ ჯერზე იქმნება ამომრჩევლის დაქსაქსვისკენ მიმართული ვირტუალური რეალობა, სადაც ერთ მხარეს „ქართული ოცნებაა“ თავისი „უნიათობით“, „ხარვეზებით“, „შეცდომებით“ თუ „გადაცდომებით“ - პოლიტიკურად უწყინარი ეპითეტები, რომლებითაც მათ ოცნების ერთ დროს გულმხურვალე და ახლა იმედგაცრუებული გულშემატკივრები ტრადიციულად ამკობდნენ. ხოლო მეორე მხარეს - რუსული სპეცსამსახურების მიერ ორი ათწლეულის განმავლობაში თანმიმდევრულად დისკრედიტებული და დემონიზებული პოლიტიკური ძალა. ძალაუფლების უმტკივნეულოდ შენარჩუნების რეცეპტიც მზადაა: თუ ოპოზიციას ერთ ქვაბში მოხარშავ, ივანიშვილის მაქსიმალურად კონსოლიდირებულ ამომრჩეველს მოიყვან საარჩევნო ურნასთან, ხოლო გადაუწყვეტელ ამომრჩეველს არჩევანს არ დაუტოვებ და დაბნეულს სახლში დატოვებ, საარჩევნო ხმებს კი მხოლოდ ორ-სამ მოთამაშეზე გადაანაწილებ, მარტივად უზრუნველყოფ „ოცნების“ უმრავლესობას „დემოკრატიულად“. დემოკრატიაში კი, თუ არ არსებობს ალტერნატივა, შესაძლოა უსასრულოდ შენარჩუნდეს სტატუს კვო.

ამით ბანალურ, მაგრამ ივანიშვილისა და მისი ჩრდილოელი მფარველების მთავარ მიზანთან - საქართველოზე კონტროლის შენარჩუნებასთან მივდივართ. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილი გეოპოლიტიკური სურათის გათვალისწინებით, როცა 2030 წლამდე ევროკავშირის აღმოსავლეთ გაფართოების გეგმა უნდა შესრულდეს, კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებში დასავლეთი ფორმალურადაც უნდა შემოვიდეს და ამ გზით რუსეთი რეგიონიდან განიდევნოს, ივანიშვილის პატრონების მოსკოვური გეგმა არა მხოლოდ თავისი მარიონეტული რეჟიმის შენარჩუნებაა თბილისში, არამედ ივანიშვილის ძალაუფლების საარჩევნო ლეგიტიმაციაც, რათა მის მიერ მომავალში მიღებული საგარეო თუ საშინაო გადაწყვეტილება საქართველოსთვის ისტორიის გარდამტეხ მომენტში იყოს მაღალი „სახალხო“ ლეგიტიმაციით გამყარებული.

აკი მოგახსენებდით, ყურადღებით მოვუსმინოთ „ოცნების“ გზავნილებს და თავად გაგვიმხელენ გეგმებს და შესაძლოა საარჩევნო შედეგებსაც-მეთქი, შეგახსენებთ ღარიბაშვილის ჯერ კიდევ პრემიერის რანგში გავრცელებულ განცხადებას: *„დღეს გეოპოლიტიკური ვითარება იცვლება ყოველდღიურად... იცვლება საერთაშორისო წესრიგი, მსოფლიო წესრიგი... მომდევნო 10 წელი, შეიძლება ასე ითქვას, ძალიან რთული პერიოდი იქნება... ამიტომ, ისეთი ვითარებაა დღეს ქვეყანაში და მსოფლიოში, რომ აუცილებელი იყო ბატონი ბიძინას დაბრუნება პოლიტიკაში“*. შემდეგ კი დასძინა: *„ბიძინა ივანიშვილი კიდევ უფრო გაამყარებს „ქართულ ოცნებას“, რომელსაც აქვს „პრეტენზია*

და მიზანი, რომ მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა“. ემპირიული ცოდნით აღჭურვილებს, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ მოსკოვისა და მისი მარიონეტისთვის ძალაუფლების კონსოლიდაცია და საარჩევნო შედეგის მაღალი ლეგიტიმაციით განმტკიცება მომდევნო არჩევნებზე დამატებით ამოცანას წარმოადგენს. ამით ისინი, პრაქტიკულად, წინასწარ დაწერილ სცენარს გვთავაზობენ, რომელშიც ივანიშვილის გამოჩენა და მისი აქტიური ჩართვა გუნდის საქმიანობაში უნდა შეფასდეს, როგორც არჩევნებში „ოცნების“ „დიდი გამარჯვების“ განმსაზღვრელი წინაპირობა და ოლიგარქის კაბინეტში წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო შედეგი უნდა გამართლდეს.

იმისთვის, რომ რუსული სპეცსამსახურებისა და მათი ოლიგარქების მიერ წინასწარ გაწერილი სცენარი მორიგ ჯერზე რეალობად ვერ იქცეს, ამომრჩეველს, პოლიტიკურ მოთამაშეებსა და საქართველოში დემოკრატიული ცვლილების მსურველებს მკაფიოდ უნდა ესმოდეთ, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე, როცა მიტაცებულ სახელმწიფოში „არჩევნებს“ ვატარებთ. სწორი დიაგნოზი და კონტექსტის ზუსტი აღქმა გაწმენდს იმ სათვალეს, რომელიც აგერ უკვე თორმეტი წელია ილუზიებში გვაცხოვრებს, რომ შემდეგი არჩევნები, ამჯერად, განსხვავებული იქნება.

საგარეო მოხმარების ამოცანა მისი ჩრდილოელი პატრონებისა და დასავლეთში, საქართველოს მეგობრებში, რწმენის განმტკიცებაა, რომ არ არსებობს არავითარი „ოცნება“, ღარიბაშვილი თუ კობახიძე, რომ არსებობს მხოლოდ ივანიშვილი, რომელიც აკონტროლებს ყველაფერს, რაც საქართველოში ხდება და რომ მოსკოვი მშვიდად უნდა იყოს.

სახელმწიფოში, სადაც პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, ძალოვანი უწყებები, ცენტრალური საარჩევნო კომისია, აუდიტის სამსახური, მსხვილი ბიზნესები, პარტიების, პოლიტიკოსებისა და მედიის დიდი ნაწილი არა კონსტიტუციით, არამედ ოლიგარქიული ვერტიკალის ძალით იმართება, დემოკრატიულ არჩევნებზე საუბარი ძნელიცაა და გულუბრყვილოც. განა არჩევნებს ალტერნატივა აქვს? არ აქვს. ამიტომ, საზოგადოებას მოუწევს ამ უთანასწორო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. თან იმის გათვალისწინებით, რომ ივანიშვილი უძლეველი არაა. როგორც არ ყოფილა აქამდე არცერთი ავტორიტარი მმართველი თუ დიქტატორი.

იმისთვის, რომ რუსული სპეცსამსახურებისა და მათი ოლიგარქების მიერ წინასწარ გაწერილი სცენარი მორიგ ჯერზე რეალობად ვერ იქცეს, ამომრჩეველს, პოლიტიკურ მოთამაშეებსა და საქართველოში დემოკრატიული ცვლილების მსურველებს მკაფიოდ უნდა ესმოდეთ, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე, როცა მიტაცებულ სახელმწიფოში „არჩევნებს“ ვატარებთ. სწორი დიაგნოზი და კონტექსტის ზუსტი აღქმა გაწმენდს იმ სათვალეს, რომელიც აგერ უკვე თორმეტი წელია ილუზიებში გვაცხოვრებს, რომ შემდეგი არჩევნები, ამჯერად, განსხვავებული იქნება.

დოდო ჭუმბურიძე

ბეჟან ხორავა



საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და აფხაზეთი

აფხაზები: ეთნიკური და დემოგრაფიული ასპექტები

„აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ხოლო აფხაზები - ქართველებთან დიდი კულტურული ერთობის მქონე ხალხი“, - ეს სიტყვები და მათში ჩადებული აზრი მხოლოდ ჩვენი არაა, ის ბევრ ავტორთან შეგხვდებათ და ხშირადაც მოისმენთ. მართლაც: ლინგვისტური, ტოპონიმური, ანთროპოლოგიური და სხვა სახის მონაცემები ნათლად ადასტურებს აფხაზთა მჭიდრო კავშირს ქართველებთან.

თანამედროვე აფხაზებს ქართველ მეცნიერთა ნაწილი ორი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისგან შემდგარ ხალხად მიიჩნევს: პირველი - აფხაზების, ანუ ძველქართველური მოდგმის, და მეორე - აფსუების, ანუ ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის, ხალხად. თავად ტერმინი „აფსუა“ არის ამ ხალხის თვითსახელწოდება, რომელიც XVIII საუკუნიდანაა დამოწმებული.

მე-19 საუკუნემდე აფხაზეთის ყველა მატერიალური კულტურის ძეგლი ქართულია (გარდა სოხუმის ციხისა, რომელიც თურქებმა ააგეს)

მეცნიერული კვლევებით დგინდება, რომ აფხაზეთის მცხოვრებთა შორის მუდამ ქართული ეთნიკური ელემენტი ჭარბობდა. აქ ყოველთვის, მათ შორის მე-19 საუკუნის დასაწყისში, მეტი ქართველი ცხოვრობდა, ვიდრე აფხაზი. საარქივო მასალები და სხვადასხვა ტიპის კვლევები მიუთითებს, რომ ქართველები ყოველთვის იყვნენ აფხაზეთის ისტორიული მოსახლენი. მე-19 საუკუნემდე აფხაზეთის ყველა მატერიალური კულტურის ძეგლი ქართულია (გარდა სოხუმის ციხისა, რომელიც თურქებმა ააგეს). VIII საუკუნიდან აფხაზეთს მართავენ არა მხოლოდ ქართული ორიენტაციის მმართველები, არამედ ქართული საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც ან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო წრიდან არიან გამოსულნი, ან ადგილობრივ მარუშიანთა, შავლიანთა, დადიანთა და შარვაშიძეთა საგვარეულოებიდან. „ბიჭვინთის იადგარით“ დასტურდება, რომ 1621 წლამდე აფხაზეთის მოსახლეობა, ძირითადად, ქართულია. ამჟამადაც აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ გვარებს ატარებს, მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ჩრდილოკავკასიური გვარები.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რითაც დავიწყეთ: რომ აფხაზები ქართული პოლიტიკური და კულტურული სამყაროს ნაწილს წარმოადგენენ, ხოლო აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

აფხაზური პრობლემის არსი

საიდან იღებს სათავეს კონფლიქტი ორ მოძმე ხალხს შორის? მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ 1992-1993 წლებში მოხდა რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთში. თუმცა, ასევე ფაქტია, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის არის კონფლიქტი, რომელიც სათავეს XIX საუკუნის მიწურულიდან იღებს. სწორედ მაშინ რუსეთის იმპერია შეეცადა, აფხაზები ქართული ეთნო-კულტურული სამყაროსაგან ჩამოეცილებინა, შეექმნა ნიადაგი მათი ასიმილაციისა და ბუნებით უხვად დაჯილდოებული კოლხეთის ამ ნაწილის ანექსიისათვის (რასაც მიაღწია კიდეც). აფხაზებს შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობას. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველთა და აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობას. ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულიდან საეკლესიო-სლავურზე გადაყვანა და რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შემოღება.



აფხაზები. დ. ერმაკოვის კოლექციიდან

აფხაზთა გაუცხოების პროცესი საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც გაგრძელდა. 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, კვლავ გააქტიურდა გამთიშველი პოლიტიკა. აფხაზებისთვის რუსული ენა გახდა განათლების, კულტურის, ურთიერთობის ენა. ისინი თანდათან მოწყდნენ იმ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს, რომლებითაც მათი წინა თაობები სულდგმულობდნენ.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს ეროვნულ-განმა-თავისუფლებელ მოძრაობას, რომლის მთავარი მიზანიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, იმპერიულმა წრეებმა აფხაზური სეპარატიზმი დაუპირისპირეს.

ვინ და როდის დაშალა ქართველ-აფხაზთა უნიკალური ერთობა

რუსეთის იმპერიამ საქართველოს სრული ოკუპაციის შემდეგ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, დაიწყო სეპარატისტული მისწრაფებების ჩამოყალიბება საქართველოში მრავალეთნიკურ მოსახლეობაში, მათ შორის ქართველებსა და აფხაზებს შორის. რუსეთის იმპერიულ-შოვინისტური წრეები ცდილობდნენ, აფხაზებისთვის წაერთმიათ იდენტობა და გადაეკიდებინათ ისინი ქართველებზე.

როგორც წინა საუკუნეში, საბჭოთა პერიოდშიც რუსი მეცნიერები სპეციალურ ექსპედიციებს აწყობდნენ აფხაზეთში, წერდნენ წიგნებს, რომლებშიც აყალბებდნენ აფხაზეთის წარსულს, ამცრობდნენ ქართველების კულტურულ და ისტორიულ როლს რეგიონში და საფუძველს უქმნიდნენ კოლონიზაციის პროექტს, რომელიც მხარის სრულ დენაციონალიზაციასა და გარუსებას ისახავდა მიზნად. მე-20 საუკუნის დასაწყისში აქ 35 რუსული დასახლება გაჩნდა. ეკლესია, სკოლა, კულტურული დაწესებულებები მხოლოდ რუსული იდენტობის დანერგვას ემსახურებოდა. უნიკალური ერთობა, რომელიც ორ ხალხს შორის არსებობდა, სეპარატისტულმა პროპაგანდამ შეიწირა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აფხაზეთში

მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებს სინამდვილეში არა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა.

ნიშანდობლივია, რომ როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას იბრუნებდა, თავისუფლად ახერხებდა აფხაზ ხალხთან ურთიერთობის ნორმალიზებას. ასე იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა (1918-1921) და 1991 წელს აღდგენილ დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში.

აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში

პირველი მსოფლიო ომის დროს გაძლიერდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. იმავდროულად, საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორების მიზნით, რუსეთის ხელისუფლება განიხილავდა სოხუმის ოლქის შავი ზღვის გუბერნიასთან მიერთებისა და სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფის საკითხს, რამაც აფხაზთა მოწინავე წრეების დიდი შეშფოთება გამოიწვია. მაშინ, 1916 წლის აპრილში, თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა დეპუტაცია, რომელიც მეფისნაცვალს, დიდ მთავარ ნიკოლოზ რომანოვსა და საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ პლატონს (როჟდესტვენსკი) შეხვდა. იმის ნიშნად, რომ დეპუტაცია მთელი აფხაზი ხალხის ნებას გამოხატავდა, მასში შედიოდნენ აფხაზეთის თავადაზნაურობისა და გლეხობის წარმომადგენლები. დეპუტაციამ აფხაზი ხალხის სახელით მეფისნაცვალსა და ეგზარქოსს წარუდგინა მოთხოვნები: სოხუმის ოლქი არ მიეერთებინათ შავი ზღვის გუბერნიასთან, სოხუმის ეპარქია არ გამოეყოთ საქართველოს საეგზარქოსოსაგან, აფხაზეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო ყოფილიყო. ცარიზმი იძულებული გახდა, აფხაზური საზოგადოების სურვილი დაეკმაყოფილებინა.

აფხაზეთის დეპუტაციის წევრები თბილისში, 1916.

1917 წლის 8 ნოემბერს შეიქმნა აფხაზთა სახალხო საბჭო. 1918 წლის 9 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებს შეხვდა. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიას მიიღებდა.

1918 წლის ივნისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაცია. 8 ივნისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლითაც გათვალისწინებული იყო ფართო ავტონომია აფხაზეთისათვის. იმავდროულად, 1918-1919 წლებში რუსი ბოლშევიკები და მონარქისტები აფხაზეთის დაპყრობას ცდილობდნენ. ქართულმა ჯარმა აფხაზთა სამხედრო ნაწილებთან ერთად ეს მხარე ოკუპაციისგან იხსნა. ამ სამხედრო-პოლიტიკურ აქტებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა და მხარდაჭერაც განაპირობებდა.

აფხაზი ხალხის პრობლემების დიდი გულშემატკივარი იყო საქართველოს მთავრობის წევრი, ცნობილი დიპლომატი, აფხაზეთში გაზრდილი აკაკი ჩხენკელი, რომელიც ბავშვობის მეგობართან, აფხაზ პოლიტიკოსთან, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთან და აფხაზეთის ავტონომიის მთავრობის თავმჯდომარესთან, არზაყან ემუხვართან, ერთად ბევრს იღვწო-

და ისეთი სახელმწიფოს აშენებისთვის, სადაც აფხაზებსა და ქართველებს თანაბრად ექნებოდათ დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა.



გრიგოლ რცხილაძის წერილი ნიკოლოზ ჩხეიძისადმი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას აფხაზი მოსახლეობის სატკივარი რომ აწუხებდა, ამის ნათელი მაგალითია აფხაზი მუჰაჯირების სამშობლოში დაბრუნების საკითხი. 1920 წლის თებერვალში აფხაზმა მუჰაჯირებმა მარშანიამ და მარღანიამ ოსმალეთში საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, გრიგოლ რცხილაძეს, მიულოცეს საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობა ანტანტის ქვეყნების მიერ და მთელი აფხაზური დიასპორის სახელით სამშობლოში დაბრუნების თხოვნით მიმართეს. ეს თხოვნა გრიგოლ რცხილაძემ პარიზში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ სამშვიდობო კონფერენციაზე, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს, გადაუგზავნა. საქართველოს დელეგაციამ პარიზში კონკრეტული დიპლომატიური ნაბიჯები გადადგა აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნებისათვის საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლების მომზადების მიზნით. 1920 წლის 7 აპრილს კარლო ჩხეიძემ ანტანტის ქვეყნების უმაღლეს საბჭოს მიმართა წერილით, მხარი დაეჭირათ საქართველოს ხელისუფლებისათვის რუსეთის ცარიზმის მიერ ოსმალეთში განდევნილი აფხაზები სამშობლოში დაებრუნებინა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ ეს წამოწყება ჩაშალა.

რა ეწერა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1920 წელს მიღებულ კონსტიტუციის პროექტში



არზაყან ემუხვარი

1920 წლის ოქტომბერში აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებულ აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის პროექტის პირველ თავში ეწერა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული. აფხაზეთი დამოუკიდებელი იქნება იმდენად, რამდენადაც მისი დამოუკიდებლობა არ შეზღუდავს ახლანდელ კონსტიტუციას“. კონსტიტუციის პროექტის მე-8 მუხლში ეწერა: საერთოს აფხაზეთისა და საქართველოსთვის წარმოადგენს: ა. საგარეო პოლიტიკა; ბ. ფულადი სისტემა; გ. საბაჟო; დ. ფოსტა და ტელეგრაფი; ე. ჯარი. მაგრამ საჯარისო ფორმირება კომპლექტდება აფხაზეთის კომისარიატის მიერაც ტერიტორიალური დაკომპლექტების პრინციპით და მუდ-

მივად ემსახურება აფხაზეთს, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც სახელმწიფო ომის მდგომარეობაში იქნება. მშვიდობიან დროს აფხაზეთში სხვა საჯარისო ნაწილების ყოფნა, გარდა ტერიტორიალური ჯარისა, დასაშვებია მხოლოდ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ნებართვით. აფხაზეთის ფართო ავტონომიური სტატუსი დაფიქსირდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა.

„პერესტროიკა“ და აფხაზეთის საკითხი

გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში აფხაზურმა და ოსურმა სეპარატიზმმა სრულიად განსაზღვრული, იმპერიული ცენტრიდან დეტერმინირებული ფუნქცია შეიძინა - საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი სუვერენიზაციის შეკავება. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, აცნობიერებდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ერთიანობის შენარჩუნებას, ამ მთლიანობაში კი, რა დიდი ადგილი ეჭირა აფხაზეთს. ამიტომ ისინი იმთავითვე ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ აფხაზეთის პრობლემას, ამხელდნენ კრემლის ვერაგობას და სახავდნენ აფხაზეთში ხელოვნურად გამწვავებული დაპირისპირების დაძლევის გზებს.

სოხუმი, სასტუმრო “აფხაზია”, 1968 წ.

აფხაზური ეთნოკრატიის ცენტრალური პოლიტიკური პარტია და სეპარატიზმის ინსტიტუციონალური ბირთვი გახდა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“, რომელიც 1988 წლის 13 დეკემბერს შეიქმნა. „აიდგილარა“ იმთავითვე მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ოთხსაფეხურიანი სტრუქტურის (მოკავშირე რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, ავტონომიური ოკრუგი) გაუქმებას და ფედერაციის მშენებლობას ჰორიზონტალური პრინციპით. საქართველოს შემთხვევაში ეს გულისხმობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის გაფართოებას მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის დონეზე და მოსკოვისადმი უშუალო დაქვემდებარებას.

„აიდგილარას” ინიციატივით, 1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გაიმართა თავყრილობა, რომელმაც მიიღო ე.წ. ლიხნის მიმართვა - საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით შესვლის შესახებ. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამწვავა ეთნოპოლიტიკური კრიზისი აფხაზეთში, რომელიც 1989 წლის ივლისში შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

„კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“ და ეთნოპოლიტიკური ნიშნით შექმნილი საზოგადოებები აფხაზეთში

1989 წლის ივლისის კონფლიქტის შემდეგ სეპარატისტები სულ უფრო ძაბავდნენ ვითარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში. ისინი გარკვეულ იმე-

დებს ამყარებდნენ ჩრდილოეთ კავკასიელთა ნაციონალისტურ და ექსტრემისტულ ჯგუფებზე, რომლებმაც წამოიწყეს ნამდვილი იდეოლოგიური ლაშქრობა ქართველების წინააღმდეგ. 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში ჩატარდა კავკასიის მთიელ ხალხთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის“ შექმნის შესახებ. ყრილობაზე დეკლარირებულ იქნა ახალი მოძრაობის მიზანი - კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბლიკის შექმნა, რომლის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა.

სეპარატისტული პოლიტიკური კონიუნქტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აფხაზეთში მცხოვრები არაქართულ-არააფხაზური თემების კონსოლიდაციის მიზნით შექმნილმა გაერთიანებებმა. 1990 წლის 27 იანვარს ეთნოპოლიტიკური ნიშნით და რუსულ-იმპერიული ინტერესების საფუძველზე შეიქმნა სომხური „კულტურულ-საქველმოქმედო“ საზოგადოება „კრუნკი“. თავდაპირველად ასეთი სახელწოდების ორგანიზაცია არალეგალურად 1987 წლის დეკემბერში ყარაბაღში შეიქმნა. ამავე როლს ასრულებდა 1991 წლის 23 აპრილს დაარსებული „სლავური სახლი - რუსული კულტურის საზოგადოება აფხაზეთში“. „სლავური სახლი“ იყო მკაცრად იდეოლოგიზებული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ფუნქციას აფხაზეთში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარება წარმოადგენდა. ამ ფუნქციას ის ახორციელებდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან პირდაპირი კავშირებით, აფხაზეთში მოქმედი ყველა არააფხაზური ჯგუფის კონსოლიდაციით ანტიქართულ პლატფორმაზე.

„დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ, აღნიშნავდა გამსახურდია, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმავლობაში“.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზეთში

1990 წლის 9 მარტს საქართველოს ეროვნული მოძრაობის პოზიტიური ზეწოლით, კომუნისტური პარტიის მმართველობის პირობებში, შესაძლებელი გახდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღება, რომლითაც 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ჯარების შემოჭრა საქართველოში ინტერვენციად და ოკუპაციად შეფასდა. 1921 წლის თებერვლიდან მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი, მათ შორის, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ, იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების შეკავების მიზნით, 1990 წლის 3 აპრილს სსრ კავშირის პრეზიდენტის, მ.გორბაჩოვის, ხელმოწერით გამოქვეყნდა „კანონი სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებული წესების შესახებ“. კანონის თანახმად, საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის გადაწყვეტილება მიღებული უნდა ყოფილიყო რეფერენდუმის გზით, ამასთან, იმ მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაშიც ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიურ ოლქები შედიოდა, რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო „ცალ-ცალკე თითოეულ ავტონომიაში“. საქართველოს, რომელსაც ორი ავტონომია ჰქონდა, საბჭოთა კავშირიდან გასვლა გაუჭირდებოდა, რადგან კრემლი ყოველთვის შეძლებდა ავტონომიების თავის სასარგებლოდ მართვას.

ასეთ ვითარებაში 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში გაიმარჯვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომლის სათავეშიც ზვიად გამსახურდია იდგა.

გამსახურდიას მმართველობის დროს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა აფხაზეთში გამომდინარეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფუძემდებლური პრინციპიდან. აფხაზეთსა და მის გარშემო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი კრემლის მიერ აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერისა და ეთნოკრიზისის ინსპირირების რეალური პერსპექტივისადმი ანგარიშის გაწევის გამო, ეს პოლიტიკა აფხაზურ ეთნოკრატიასთან იძულებითი, ფორსმაჟორული კომპრომისის ტაქტიკის გამოყენების ტენდენციით ხასიათდებოდა. კომპრომისის ტაქტიკა, რომელიც ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზთა სპეციფიკური პოლიტიკური უფლებების გარანტირებას, არ იყო გამსახურდიას ხელისუფლების თვითმიზნური პოლიტოგემა: კომპრომისის გავრცელებას და დისკუსიას არ ექვემდებარებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული უნიტარიზმისა და სუვერენიტეტის სივრცის ხელშეუხებლობის საკითხები.

1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმი აფხაზეთში

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადისლავ არძინბა. გამსახურდიას ხელისუფლების მყარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციისა და მასობრივი მხარდაჭერის პირობებში, არძინბა და მისი გარემოცვა, მიუხედავად ანტიქართული ორიენტაციისა, იძულებული იყვნენ, მიეღოთ არსებული თამაშის წესები და აქტიური სეპარატისტული პოლიტიკური აქციებისაგან თავი შეეკავებინათ, თუ არ ჩავთვლით 1991 წლის 17 მარტს აფხაზეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შენარჩუნების თაობაზე კრემლის მიერ დანიშნულ რეფერენდუმს.

1991 წლის კომპრომისის მთავარი მიზანი აფხაზური ეთნოკრატიის რუსული ორიენტაციის განეიტრალება და ქართულ სივრცეში მისი რეინტეგრაციის დაწყება იყო. ფორმულა 28+26+11 აფხაზეთში ნერგავდა მკვიდრი (28+26) და არამკვიდრი (11) ეთნოსების ცნებას. აფხაზური ეთნოკრატია ქართველებს ცნობდა აფხაზეთის მკვიდრ ეთნოსად, შესაბამისი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი გარანტიებით, და პირიქით. აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები - „საქართველოს სსრ“-ს ნაცვლად ჩაიწერა „საქართველოს რესპუბლიკა“, რითაც აფხაზურმა მხარემ აღიარა საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის ლიკვიდაციის ფაქტი, აფხაზეთის ასსრ კი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად იქნა მოხსენიებული.

აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის შენარჩუნების მიზნით დანიშნულ რეფერენდუმში მონაწილეობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 1991 წლის 12 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას, მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. მიმართვაში გამსახურდია ყურადღებას ამახვილებდა ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო კოლხურ წარმოშობაზე, გენეტიკურ ნათესაობაზე, კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებზე, იმპერიის ვერაგულ მიზნებზე, იგი აფხაზეთის მოსახლეობას მოუწოდებდა, ბოიკოტი გამოეცხადებინა სსრ კავშირის შენარჩუნებისადმი მიძღვნილი რეფერენდუმისათვის, მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმისათვის. „დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ, აღნიშნავდა გამსახურდია, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმავლობაში“.

გამსახურდიას მიმართვას გამოეხმაურა ვლადისლავ არძინბა. 1991 წლის 14 მარტის საპასუხო წერილში იგი ეთანხმებოდა გამსახურდიას მიმართვის იმ ნაწილს, სადაც საუბარი იყო აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებზე, მათი თვითმყოფადი კულტურების მჭიდრო კავშირზე, ეროვნული ტრადიციების სიახლოვეზე. თუმცა, იგი იქვე მიუთითებდა, რომ აფხაზეთი რჩებოდა სსრ კავშირის შემადგენლობაში, მას მიაჩნდა, რომ აფხაზეთის მოქალაქეთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის მომავლის შესახებ საკითხის გადაწყვეტაში მათი სრული უფლება იყო.

მთავარი მაინც ის იყო, რომ აფხაზურმა ეთნოკრატიამ ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; ყოველგვარი შუამავალი მისიებისა და მედიატორობის გარეშე, დადო პოლიტიკური შეთანხმება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ყოფნის შესახებ, თანაც საქართველოს ფედერალიზაციის თუ კონფედერალიზაციის მოთხოვნის გარეშე.

1991 წლის 17 მარტს რეფერენდუმი აფხაზეთში ჩატარდა, თუმცა, სეპარატისტებმა მასობრივი გაყალბებისა და კენჭისყრის პროცესიდან გალის რაიონის გამოთიშვით, 50 ათასზე მეტი ამომრჩევლით, შეძლეს მოეგროვებინათ უბრალო უმრავლესობისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა - 50,3%. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების რეაქცია კანონიერი და ოპერატიული იყო. 22 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა რეფერენდუმის შედეგები უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ ცნო.

რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე

საბჭოთა რეფერენდუმიდან სულ რამდენიმე დღეში, 31 მარტს, საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე. მიუხედავად არძინბას, „აიდგილარას“ და სხვა სეპარატისტული ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ბოიკოტისა, რის გამოც რეფერენდუმი ჩაიშალა გუდაუთის რაიონსა და ქ. ტყვარჩელში, მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61,27%-მა. ამათგან, საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 60%-მა.

1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შემოიღო რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა და მოქმედ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შეიტანა. იმავე დღეს უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია.

საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ კრემლის შეშფოთებას იწვევდა. 1991 წლის აპრილის პირველ რიცხვებში შედგა სატელეფონო საუბარი მიხეილ გორბაჩოვსა და ზვიად გამსახურდიას შორის. გორბაჩოვმა გააფრთხილა გამსახურდია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სსრ კავშირიდან გასვლის შემთხვევაში მას ჩამოსცილდებოდა აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“. ეს გაფრთხილება კი არა, მუქარა იყო, რაც შემდეგში რუსეთმა კიდეც განახორციელა.

ახალი ათონის ტაძარი

საქართველოს ხელისუფლების კომპრომისული ტაქტიკა აფხაზეთში

საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმმა, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და პრეზიდენტის არჩევნებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში. იმავდროულად, საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნისა და იმპერიული ცენტრის მიერ აფხაზეთში ეთნოკონფლიქტის ინსპირირების რეალური ბერკეტების ფლობის პირობებში, გამსახურდიამ კომპრომისული ტაქტიკა განაგრძო. საინაუგურაციო გამოსვლაში, 1991 წლის 7 ივნისს, ის შეეხო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწყობის საკითხს და აფხაზეთის მომავალ პოლიტიკურ სტატუსს ამ სახელმწიფოში. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა დამოუკიდებელი საქართველოს ურყევი ნება, დაეცვა აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა პოლიტიკური ავტონომიის კონსტიტუციური გარანტიების საფუძველზე:

სოხუმი. 1989 წელი.

„სახელმწიფოს მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს მმართველობისა და თვითმმართველობის ისეთი პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც გამორიცხავენ სახელმწიფოსა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირებას, დაიცავენ სახელმწიფოს ერთიანობას და ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესების დაცვას. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი უნდა იყოს აფხაზების, როგორც საქართველოს მკვიდრი ერის, პოლიტიკურ უფლებათა აღიარება, ტრადიციული ქართულ-აფხაზური მეგობრობა. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი სამშობლოა როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა. საქართველოს რესპუბლიკის მიერ კონსტიტუციურად გარანტირებული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომია და აფხაზთა ეროვნული უფლებების ხელშეუხებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენასთან ერთად, უნდა აღდგეს ტრადიციული ურთიერთობა აფხაზთა და ქართველთა შორის," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ამრიგად, გამსახურდიამ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის ფართო პოლიტიკურ ავტონომიაზე საქართველოს შემადგენლობაში. მისი აზრით, აფხაზეთის საკითხის გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამართლებრივი

სახელმწიფოს ჩარჩოებში. ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯი გახლდათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებული ახალი საარჩევნო კანონი და ამ კანონის საფუძველზე ჩატარებული უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

კავკასიელთა ერთობის იდეა და მისი პოლიტიკური კონტექსტი

ნიშანდობლივია, რომ მთელი 1991 წლის განმავლობაში არძინბას არ მიუღია არცერთი სეცესიონისტური იურიდიული აქტი. იმავე ხანებში, 1991 წლიდან ზვიად გამსახურდიამ „კავკასიური სახლისა და კავკასიელთა ერთობის“ იდეა წამოაყენა, რომელიც იმდროინდელი ხელისუფლების სახელმწიფო იდეოლოგიადაც კი იქცა. კავკასიელთა ერთობის იდეა მას იმთავითვე ჰქონდა ჩაფიქრებული, როგორც კავკასიაში საქართველოს წამყვანი როლისთვის აუცილებელი იდეოლოგიური საფუძველი. იდეას საფუძვლად დაედო ქართველი ენათმეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას, თეორია „იბერიულ-კავკასიურ ენათა“ ერთობის შესახებ, რომლის თანახმად, ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ვაინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) და დაღესტნური ენები ერთი ძირიდან წარმოიშვა, მაშასადამე, ეს ხალხებიც მონათესავენი არიან. ზვიად გამსახურდიას ეს კონცეფცია აინტერესებდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც პოლიტიკური დოქტრინა, ამიტომ 1988-1989 წლებიდან დაიწყო მისი პროპაგანდა. „კავკასიური სახლის“ იდეის წამოყენებით ხდებოდა აფხაზური სეპარატიზმის იზოლაცია, მისი თანდათანობით წარმოჩენა კავკასიელი მთიელების წინაშე რეალური სახით, როგორც კრემლის მიერ მართული არამხოლოდ ანტიქართული, არამედ ანტიკავკასიური მოძრაობისა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი საარჩევნო კოდექსის კომპრომისული ვარიანტი

1991 წლის ივნის-ივლისში თბილისსა და ვ. არძინბას გარემოცვას შორის ინტენსიური კონსულტაციები გაიმართა. შედეგად, შემუშავდა კომპრომისული

ედუარდ შევარდნაძემ ბორის ელცინისაგან მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო ოპერაციის ჩატარების „სანქცია“, როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით. იმავდროულად, 1992 წლის 18 ივლისს სოჭში გაიმართა ელცინის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა არძინბასთან და სხვა აფხაზ სეპარატისტებთან. ამ კონფიდენციალურ შეხვედრაზე სეპარატისტებმა მიიღეს ომის ინიცირების სანქცია რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიით.

კონსტიტუციური შეთანხმებების პაკეტი, რომელიც შეიცავდა ახალ საარჩევნო კოდექსსა და კონსტიტუციური ცვლილებების პაკეტს. მისი საკანონმდებლო რეალიზაცია 1991 წლის ივლის-აგვისტოში განხორციელდა. 9 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო ახალი საარჩევნო კოდექსი - კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“. კანონი ითვალისწინებდა ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის ძირითადი პრინციპების დაცვით ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების დაყოფას ეთნიკურ ზონებად და ავტონომიური პარლამენტის ეთნიკური კვოტების პრინციპით დაკომპლექტებას. აფხაზური ეთნიკური ზონა

წარმოდგენილი იყო 28 ერთმანდატიანი ოლქით მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17,3 %-ის პირობებში, ქართული - 26-ით მოსახლეობის საერთო რაოდენობის 47,7%-ის პირობებში, ხოლო სხვა ეროვნებების - 11. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში 65 წევრიდან აფხაზებს ეძლეოდათ 28 სადეპუტატო მანდატი, ქართველებს - 26 და დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლებს - 11.

27 აგვისტოს მიღებულ იქნა საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტი. კანონით „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, კონსტიტუციის 98-ე მუხლი ასეთი რედაქციით ჩამოყალიბდა: „კანონები და სხვა აქტები აფხაზეთის ასსრ სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე მიიღება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი ხმებით“. იმავე დღეს მიღებულ იქნა კანონი „აფხაზეთის ასსრ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ“ (ახალი რედაქცია), რომლის მეხუთე მუხლში დაფიქსირდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ რეფერენდუმის დასანიშნად საჭირო იყო დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის თანხმობა.

იყო თუ არა ეთნოკვოტირების მოდელი უპრეცენდენტო

მცდარია მოსაზრება ეთნოკვოტირების მოდელის უპრეცენდენტობის შესახებ. 1919 წლის 13 თებერვალს არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოში 40 წევრიდან 17 ეთნიკური აფხაზი იყო, 15 - ქართველი და 8 - სხვა ეროვნების წარმომადგენელი. აფხაზეთის 1986-1991 წწ. მოწვევის უმაღლეს საბჭოში კი ასეთი პროპორციის ეთნოსტრუქტურა იყო: 140 წევრიდან - 57 აფხაზი, 54 ქართველი და 29 სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ასე რომ, წმინდა რაოდენობრივი მაჩვენებლებით ეთნიკურ აფხაზთა წარმომადგენლობითი პრეფერენციის პრინციპი არსებობდა ავტონომიური პარლამენტარიზმის ისტორიის თითქმის ყველა ეტაპზე. ის გარემოება, რომ ეთნოკვოტირება ფაქტობრივი და არა იურიდიულად სანქცირებული იყო, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის. საერთაშორისო პრაქტიკაში პოლიტიკურ-ეთნიკური ან პოლიტიკურ-კონფესიური კვოტირების პრინციპი საფუძვლად უდევს ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემას, როგორც პოსტკონფლიქტური დარეგულირების ან ანტიკონფლიქტური პრევენციის საშუალება. ეთნოპოლიტიკური კვოტირების პრინციპის რეალიზაციის ბევრი მსგავსი მაგალითი არსებობს, მათ შორის კვიპროსის პოლიტიკური სისტემა 1974 წ. კრიზისამდე და შვეიცარიის ზოგიერთი კანტონის ადმინისტრაციული სტრუქტურა. 1991 წლის კომპრომისის მთავარი მიზანი აფხაზური ეთნოკრატიის რუსული ორიენტაციის განეიტრალება და ქართულ სივრცეში მისი რეინტეგრაციის დაწყება იყო. ფორმულა 28+26+11 აფხაზეთში ნერგავდა მკვიდრი (28+26) და არამკვიდრი (11) ეთნოსების ცნებას. აფხაზური ეთნოკრატია ქართველებს ცნობდა აფხაზეთის მკვიდრ ეთნოსად, შესაბამისი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი გარანტიებით, და პირიქით. აფხაზეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები - „საქართველოს სსრ“-ს ნაცვლად ჩაიწერა „საქართველოს

სოხუმის ნავსადგური

რესპუბლიკა“, რითაც აფხაზურმა მხარემ აღიარა საქართველოში საბჭოთა სიმბოლიკის ლიკვიდაციის ფაქტი, აფხაზეთის ასსრ კი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ნაწილად იქნა მოხსენიებული. აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონი ძალაში შედიოდა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის ავტონომიური პარლამენტების მიერ მისი მიღების შემდეგ. ამით ფაქტობრივად გამოირიცხა სტატუსის თაობაზე ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღების კანონიერი შესაძლებლობა. მთავარი მაინც ის იყო, რომ აფხაზურმა ეთნოკრატიამ ცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა; ყოველგვარი შუამავალი მისიებისა და მედიატორობის გარეშე დადო პოლიტიკური შეთანხმება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ყოფნის შესახებ, თანაც საქართველოს ფედერალიზაციის თუ კონფედერალიზაციის მოთხოვნის გარეშე. ამით აფხაზურმა ეთნოკრატიამ როგორც საკუთარი პოლიტიკური უფლებების, ისე აფხაზეთში მთელი პოლიტიკური პროცესის წყაროდ და სუბიექტად დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ცნო. პირდაპირ თუ ირიბად, აფხაზებმა აღიარეს, რომ ავტონომიის სტატუსის საფუძველი არის არა აფხაზი ერის თვითგამორკვევა ან რომელიმე საკავშირო-იმპერიული აქტი, არამედ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მასთან შეთანხმება.

იყო თუ არა საარჩევნო კომპრომისული პაკეტი საკმარისი აფხაზეთის კონსტიტუციური ცვლილებების მისაღებად

კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტი შეიცავდა აფხაზეთში ქართული ინტერესების რეალიზაციის მთელ კომპლექსს. აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო კვალიფიციური უმრავლესობა, რომელსაც არათუ აფხაზური დეპუტაცია, არამედ მასთან ინტეგრირებული სხვა ეროვნებათა დეპუტატებიც, ერთად აღებული, ვერ ქმნიდნენ. ამდენად, აფხაზეთის პარლამენტში ეთნიკური აფხაზების უმნიშვნელო უმრავლესობა და საერთოდ ნებისმიერი კოალიცია ქართული დეპუტაციის გარეშე არ წარმოადგენდა კონსტიტუციურ უმრავლესობას, რადგან კონსტიტუციური ცვლილებების მისაღებად საჭირო იყო ქართული ფრაქციის თანხმობა. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს პრეზიდენტს შესაძლებლობა ჰქონდა, გაეუქმებინა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის ან ამგვარი აქტის ეტაპობრივ-პროცესუალური უზრუნველყოფის ნებისმიერი უკანონო გადაწყვეტილება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლის ბლოკირების მექანიზმი, პრეზიდენტის დე ფაქტო და დე იურე ვეტო აფხაზეთის შესაძლო სეცესიაზე 1991 წლის კომპრომისის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს. კომპრომისული პაკეტით, კვალიფიციური უმრავლესობა იყო საჭირო არა მარტო კონსტიტუციური საკითხების გადასაჭრელად, არამედ მთავრობის ფორმირების შემთხვევაშიც. ქართული მხარის ნომენკლატურული პრეფერენცია გარანტირებული იყო პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ეთნიკური ქართველობით. ყოველივე ეს მხარეებს აიძულებდა, აქტიურად



რიწის ტბა

ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, ე. ი. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო მოსახლეობის ორი ძირითადი ეთნიკური (ქართულ-აფხაზური) მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობა. ამდენად, კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტი მიზნად ისახავდა აფხაზეთში დაძაბულობის განმუხტვას, სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილებასა და სავარაუდო კონფრონტაციის საპარლამენტო-კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევას. სწორედ ამგვარი ტენდენცია აღინიშნა 1991 წლის შემოდგომაზე, როდესაც ზვიად გამსახურდიამ იურიდიული ძალის არმქონედ ცნო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ზოგიერთი ანტიკონსტიტუციური აქტი: აფხაზეთის საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ და სხვ.

ამდენად, მოკლე დროში მოხერხდა აფხაზეთში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების მართვა, სეპარატიზმის მშვიდობიანი მეთოდებით ალაგმვის, კრემლის პროვოკაციების აღკვეთის იურიდიული, პოლიტიკური და საერთაშორისო ბერკეტების შექმნა - კომპრომისული საარჩევნო კანონი, ცვლილებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში, კავკასიური სახლის იდეა. მაგრამ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. კომპრომისული კონსტიტუციური პაკეტის საფუძველზე პოლიტიკური ბალანსის სისტემის ფორმირების პროცესი შეწყვიტა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ.

1991 წლის 29 სექტემბრის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

ნიშანდობლივია, რომ ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1991 წლის 29 სექტემბერს ჩატარდა. არსებულ ვითარებაში, როცა თითოეულ ხმას აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ოპოზიციის მხრიდან გამოცხადებული ბოიკოტის პირობებში ქართულმა მხარემ 26 დეპუტატის არჩევაც ვერ მოახერხა, როცა აფხაზებმა 28-ვე აირჩიეს. გარდა ამისა, 11 სხვა ეროვნების კანდიდატიდან, მართალია, 6 ქართული მხარის მხარდაჭერით იქნა გაყვანილი, მაგრამ ქართული მხარის მიერ შერჩეული ოთხი დეპუტატი (ვ. ვასილიევი, მ. ჯალოვიანი, ა. გომცკიანი, ა. ზებელიანი) პირველსავე სესიაზე 1992 წლის იანვარში, აფხაზების მხარეს გადავიდა. აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, ხოლო მისი პირველი მოადგილე - ქართველი; ასევე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე - აფხაზი. ამასთან, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურები ერთი პაკეტით უნდა გასულიყო. ერთხმად იქნა არჩეული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინბა, ხოლო მის პირველ მოადგილედ - თამაზ ნადარეიშვილი. მაგრამ ქართული მხარე ვერ შეთანხმდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე. საბოლოოდ, არძინბამ დაარღვია

გაგრა

შეთანხმება და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს უმრავლესობას დაანიშვნინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არძინბა მოერიდა ღია კონფრონტაციას ქართულ მხარესთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა არა აფხაზი, არამედ მისი ერთგული, მაგრამ მაინც ეროვნებით ქართველი ვაჟა ზარანდია. ეს ნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო.

რა შეცვალა თბილისში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ

1991 წლის დეკემბერი - 1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო. სახელმწიფო გადატრიალებას მოჰყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დათხოვნა და კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება. სახელმწიფო გადატრიალებამ აფხაზეთის პოლიტიკურ სივრცეში თვისობრივად ახალი ვითარება შექმნა. დაიშალა 1991 წლის კომპრომისის მოდელი და დაინგრა მასზე დაფუძნებული ბალანსირებული პარტიულ-პოლიტიკური სისტემა. არძინბას პოლიტიკური კლანი აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფისა და, ამისათვის, სამხედრო და სამართლებრივი საფუძვლების უზრუნველყოფის გზას დაადგა. 1991 წლის 29 დეკემბერს, აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილებისა და საჯარისო დაწესებულებათა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის იურისდიქციაში გადასვლის შესახებ. დადგენილების თანახმად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეიქმნა ე.წ. დროებითი სამხედრო საბჭო, რომელიც თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით სეპარატისტული რეჟიმის მომავალი სამხედრო სისტემის მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენდა. გადატრიალებამ მოშალა აფხაზეთის სეცესიის ბლოკირების მთავარი პოლიტიკური ღერძი - საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელსაც ამ საკითხში ვეტოს კონსტიტუციური პრეროგატივა ჰქონდა; აგრეთვე აფხაზეთის სეცესიის აღკვეთის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმიც: საქართველოს სამხედრო საბჭომ 1992 წლის 2 იანვარს შეაჩერა ქვეყნის კონსტიტუციის მოქმედება, ხოლო 21 თებერვალს ფორმალურად აღადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. შექმნილმა სამართლებრივმა ვითარებამ არძინბას შესაძლებლობა მისცა, ამ საბაბით გაეაქტიურებინა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.

ბზიფის ხეობა

როგორ მოქმედებდა რუსეთის ახალი იმპერიული პოლიტიკა ამგვარ ვითარებაში, ნათელი ხდება ბორის ელცინის შემდეგი ორი შეხვედრით ქართველ და აფხაზ ლიდერებთან: 1992 წლის 24 ივნისს შედგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამუშაო შეხვედრა დაგომისში, სადაც ედუარდ შევარდნაძემ ბორის ელცინისაგან მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო ოპერაციის ჩატარების „სანქცია“, როგორც ჩანს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ნეიტრალიტეტის

გარანტიით. იმავდროულად, 1992 წლის 18 ივლისს სოჭში გაიმართა ელცინის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა არძინბასთან და სხვა აფხაზ სეპარატისტებთან. ამ კონფიდენციალურ შეხვედრაზე სეპარატისტებმა მიიღეს ომის ინიცირების სანქცია რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევის გარანტიით. რუსეთი ორივე მხარეს აქეზებდა და მოვლენათა განვითარებას აკონტროლებდა.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ, პროცესუალური ნორმებისა და რეგლამენტის დარღვევით მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებისა და აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის დეკლარირებას წარმოადგენდა.

ომი აფხაზეთში და სამშვიდობო ინიციატივების მარცხი

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო. ომის დაწყებაში თავიანთი წვლილი მიუძღვით ხუნტასა და აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ომის პროვოცირებას. ისინი მოსკოვში შემუშავებული გეგმის ბრმა შემსრულებლები იყვნენ.

21 აგვისტოს დევნილმა პრეზიდენტმა მიმართვა გაუგზავნა არძინბას და შესთავაზა, აფხაზეთში მშვიდობის აღდგენის მიზნით, ავტონომიური რეს-პუბლიკის სტატუსი და 1978 წლის კონსტიტუცია აღედგინა. დევნილი პრეზიდენტი პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა აფხაზეთის ომის შესაჩერებლად. მისი ინიციატივით და ჩეჩნური მხარის შუამავლობით მოეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის.

ბედიის ტაძარი

1993 წლის 4 მაისს, გამსახურდიამ მიმართვა გაუგზავნა აფხაზ ხალხს. იგი წერდა: „სისხლიანი სამხედრო გადატრიალება საქართველოში, უკანონო დამნაშავე რეჟიმის დამყარება - აი, მთავარი მიზეზი ამ ძმათამკვლელი ომისა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამას ხელი შეუწყო ზოგიერთმა შეცდომამ აფხაზეთის ხელმძღვანელობისა, კერძოდ, უმაღლესი საბჭოსი, რომელმაც შეცვალა მოქმედი კონსტიტუცია კვალიფიციური უმრავლესობის ნების გარეშე. ...შთამომავლობა არ გვაპატიებს, თუკი ჩვენი ბრძენი წინაპრების მაგალითისამებრ არ მივუსხდებით მოლაპარაკების მაგიდას და ყველა სადავო საკითხს არ გადავწყვეტთ მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით. ...მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საქართველოში დაუყოვნებლივ დაუსვამს წერტილს კონფლიქტს და დასაბამს დაუდებს მშვიდობიან მოლაპარაკებებს. მე მწამს, რომ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ სახელმწიფო მოწყობის საკითხებში“.

დევნილი პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივები განუხორციელებელი დარჩა. 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც, ფაქტობრივად, აფხაზეთის დათმობას მოასწავებდა. 16 სექტემბერს აფხაზებმა დაარღვიეს შეთანხმება და საომარი მოქმედებები განაახლეს. ასეთ ვითარებაში გამსახურდიამ უარი თქვა

მარგარეტ ტეტჩერის მიწვევით ინგლისში გამგზავრებაზე, რისთვისაც სერიოზულად ემზადებოდა და 24 სექტემბერს საქართველოში დაბრუნდა. იგი შეეცადა, შევარდნაძის მომხრე შეიარაღებული ძალები და მის დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული გვარდიის ნაწილები გაეერთიანებინა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ხელისუფლებამ ეს გეგმა ჩაშალა. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა, შემდეგ დღეებში კი აფხაზმა სეპარატისტებმა უბრძოლველად დაიკავეს გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების ტერიტორიები და 30 სექტემბერს ენგურის ხიდზე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, სეპარატისტული დროშა აღმართეს. აფხაზეთის ომის დასრულებიდან სულ მალე, 1993 წლის 31 დეკემბერს, გამსახურდია გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

როგორი უნდა იყოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მომავალში

აკაკი ბაქრაძე წერდა: „ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ის აფხაზეთიდან აფხაზებს ვერ განდევნის; აფხაზმაც უნდა იცოდეს, რომ იგი აფხაზეთიდან ქართველებს ვერ გამოაძევებს; აფხაზეთში ქართველობა და აფხაზობა ერთად ცხოვრობდნენ იმ დღიდან, რაც მიწის ეს მონაკვეთი გაჩნდა და არსებობა დაიწყო. ასე იქნება მომავალშიც. რაკი ღმერთმა ერთად ცხოვრება დაგვიწესა, როგორადაც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, ერთად ცხოვრების ფორმები და მეთოდები უნდა მოვძებნოთ, ამის ძებნაში უნდა დავხარჯოთ ჭკუა და გონება“.

ჩვენ, აფხაზებსაც და ქართველებსაც, უნდა გვახსოვდეს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, დიმიტრი გულიას (1874-1960), სიტყვები: ,,ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ცოტაა, ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა, ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,იგი თავისა მტერია“.

მართლაც, ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება საშუალებას იძლევა, დავინახოთ ამ ურთიერთობის მომავალიც: როდესაც საქართველო იქნება არა მხოლოდ სუვერენული, არამედ პოლიტიკურად, სოციალურ-ეკონომიკურად, და სამართლებრივად ძლიერი ქვეყანა, აფხაზებიც მიხვდებიან, რომ მათი განვითარება და ეთნიკურ-კულტურული იდენტობის შენარჩუნება მხოლოდ ქარველებთან თანაცხოვრებითაა შესაძლებელი. მაშინ აფხაზურ-ქართული პრობლემაც - ისევე, როგორც წარსულში - აღარ იარსებებს. ■

ბუბა კუდავა

ქალის გამეფების რევოლუცია

იმ უთვალავ მმართველს შორის, რომელთაც ამ ცისქვეშეთში ძალაუფლება ჰქონიათ, სახელმწიფო თუ ხალხი უმართავთ, წილობრივად ძალზე ცოტა ყოფილა მდედრობითი სქესისა. უმეტეს ქვეყანაში კი ასეთი შემთხვევა საერთოდაც არ არსებულა. არც არსებულა და ვერც წარმოედგინათ.

ხელისუფალ ქალთა უმეტესობა ასპარეზზე დედოფლად გამოდიოდა - ფარაონის ცოლად, იმპერატორის დედად, მეფის დად, დედინაცვლად, ფავორიტად, მმართველი კაცის თანამმართველ ქალად... ისინი ქვეყნის სათავეში საკუთარი ნიჭის, ალღოსა და გაქანების, უბადლო სილამაზისა თუ უჩვეულო მიმზიდველობის, მამაკაც მმართველთა მცირეწლოვანების, ხანაც - ჭკუასუსტობის, ზოგჯერ - ძლიერი სქესის სუსტი ბუნების გამო ექცეოდნენ და მართვის სადავეებს დროებით იპყრობდნენ. ანდა, ვითომ დროებით და წუთისოფლის გალევამდე ვეღარც ელეოდნენ. უმეტესობა კი არა, თითქმის ყველა ქალი ასეთი მმართველი გახლდათ და ამ ისედაც ცოტა შემთხვევიდან კიდევ უფრო მცირე, გამონაკლისები თუ გვაქვს, როცა ქალი კანონიერი, უზენაესი, სხვა მამაკაც მონარქთა თანასწორი მმართველი ხდება - წესით, რიგით, სტატუსით, ტიტულით, სეფე-კარის აღიარებითა და ქვეშევრდომთა დასტურით. ასეთ მანდილოსან-გვირგვინოსანთა უმეტესობა თვითდეკლარირებული გახლავთ - ქმრის, შვილისა თუ მშობლის ჩამოცილებით, ხელთ იგდებენ ტახტს და შემდეგ ლეგიტიმაციასაც აღწევენ.

მაგრამ აი, რაც საქართველოში მოხდა, სრულიად განსაკუთრებული რამ გახლდათ და წარსულში მისი ზუსტი ანალოგების მოძიებაც არ არის იოლი საქმე.

ძე არ ეყოლა ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი III-ს, დიდი დავით აღმაშენებლის შვილიშვილსა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ფიგურას, და რაც მან განიზრახა, უწინაც და მერეც, მხოლოდ შორეულ ქვეყნებსა თუ სხვა საუკუნეებში ყოფილა, ისიც, როგორც ვთქვით, ძალზე, ძალზე იშვიათად და გარკვეულწილად სხვაგვარად: ჰატშეფსუტის

ფარაონობა თუ კლეოპატრას დედოფლობა - უხსოვარ ეგვიპტეში, ირინეს მმართველობა VIII საუკუნის ბიზანტიაში თუ ცოტა ადრე ვუ ზეტიანისა - ჩინეთში, სულ ახლო წარსულში ეკატერინეს იმპერატრიცობა რუსეთში თუ აგერ, ახლახან - ელისაბედის დედოფლობა ინგლისში.

მოკლედ, დღეს ყველამ კარგად ვუწყით ღრმა ბავშვობიდანვე, ვიცით ისტორიიდანაც და რუსთველიდანაც, რომ მეფეს ვაჟი არ ჰყავდა და ასულის გამეფება ისურვა. ვიცით ფინალი, უკვე ძალზე მშობლიური და დღეს ფრიად სასახელო, მაგრამ აბა ერთი იმ ეპოქასა და იმ რეგიონში მცხოვრები დიდებულის, ეპისკოპოსის, მეომრის, მსახურისა თუ გლეხიკაცის თვალით გამოხედე და თავზარიც დაგეცემა. შენ ალბათ არა, ამ ეპოქისა ხარ, მაგრამ ის მაინც წარმოიდგინე, იმათ რა დაემართებოდათ ამ საოცარი განზრახვის გაგებისას.



თამარ მეფე, ყინწვისის ფრესკა

რაო, ქალის გამეფებაო? ამბავი ენით უთქმელი, ყურით გაუგონარი, უზომოდ აღმაშფოთებელი და განსარისხებელი იყო არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მთელი მახლობელი სამყაროს ტრადიციისთვის. უძეო მეფეების მეტი რა გამოუვლია მსოფლიო ისტორიას და ჩვენს წინა სამეფოებსაც მათ შორის, მაგრამ ასეთ დროს ან რომელიმე სახლიკაცს ამეფებენ - ძმას, ბიძაშვილს თუ იმის იქით, ან შვილობილს ირჩევენ, ან, თუკი ქალიშვილი ჰყავთ და ასე გადაწყვიტეს, სიძე მოჰყავთ - ხან მეფობისთვის, ხან მომავალი მეფის მამობისთვის, ხანაც მეზობელი სახელმწიფოს მემკვიდრეს უმოყვრდებიან და ამით ორი ქვეყნის გაერთიანებას უყრიან საფუძველს.

მეფე გიორგი სხვაგვარად იქცევა. ის არ ეძებს არც სიძეს გასამეფებლად და არც სეფეწულს სამეფო გვარიდან, გვირგვინის დასატოვებლად. „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასულიო“ - აგრე ვსწავლობთ ისტორიას, თითქოს ერთადერთი გამოსავალი ქალიშვილის გამეფება ყოფილიყო, თითქოს მხოლოდ ამას უმუხთლა საწუთრომ და სხვა ყველას ძე დარჩენია სამეფო ხაზის გასაგრძელებლად.

როგორც ჩანს, გიორგი III-ს თამარის გამეფება უკვე იმ დროიდან გადაეწყვიტა, როცა დარწმუნდა, რომ ვაჟი აღარ ეძლეოდა. ამ გზაზე ორი უზარმაზარი, ერთი შეხედვით გადაულახავი წინაღობა იდო: ერთი, როგორც ითქვა, იდეის რევოლუციურობა და მიუღებლობა იყო, მეორეს კი სახელად დემნა უფლისწული ერქვა. ვიდრე მეფის გვარში ვაჟიც იქნებოდა, თან ასე ახლო ნათესაობაში, თან წინა მეფის შვილი და წინისწინა მეფის სეხნია შვილიშვილი, თან უფროსი მამაკაცური ხაზის წარმომადგენელი და ბაგრატოვანთა გვარის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე, გიორგი III-ს ძალზე გაუჭირდებოდა ერისა და ბერისთვის, ეკლესიისა და დიდკაცთათვის აეხსნა - რატომ აჰყავს სამეფო ტახტზე ქალი.

მოკლედ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე: ვიდრე დემნა ცოცხალი და საღსალამათი გახლდათ, გიორგი ასულს ვერ გაამეფებდა და, თუ დემნა უკადრებელს არ იკადრებდა, ვერ ჩამოიცილებდა იოლად.

გამოსავალი მოიძებნა: ეს ორი პრობლემა გიორგიმ ერთმანეთს მჭიდროდ გადააწნა და მოგვარებაც ერთიანად განიზრახა. დემნა მოიშორა - ჯერ ივანე ორბელთან დამოყვრებით (ამ ამბავში მეფის ხელიც უნდა ერიოს), მერე წაქეზებით, მერე აჯანყებით - ამბოხის პროვოცირებითა თუ მზადების პროცესის წაყრუებით, შემდეგ საზოგადოების აღშფოთებითა და ჯანყის ჩახშობით. მოიშორა ისე, რომ ენა ვეღარავის მოუბრუნდებოდა - ამას რას და

ამას რად სჩადიხარო. ჩამოიცილა ისე, რომ მეფის ბრალი არსად იკვეთება, პირიქით, ქვეყანას რყევები აარიდა! ესეც გათვლილია: დემნა მოიშორა დასაჭურისებით და არა - სიკვდილით დასჯით (წყალობა მოიღო!). მალევე კი გარდაიცვალა (არკვიე ახლა - თავისით თუ ხელის წაშველებით), მაგრამ თავის თავს აბრალოსო - მიაძახებდნენ ალბათ იმ სვეუბედურს.

ივანე ორბელი, ბეთანიის მხატვრობა

ღალატისა და შფოთის მთესველთა ბანაკზე გამარჯვებას, მტარვალთა დასჯა-განადგურებასა და ორგულთა მიჩუმებას გიორგის უზომო გაძლიერება მოჰყვებოდა და ე, სწორედ მანდ დგებოდა ის ნანატრი დღეც, როცა მისი გამარჯვებით აღფრთოვანებულ, მოჯანყეთა ჯანყზე აღშფოთებულ თუ დემნა-ორბელთა დამარცხებით დაშინებულ-გაყურსულთა აუდიტორიას შენი რევოლუციური რეფორმის გეგმა უნდა წარუდგინო!

გიორგისგან ალბათ იმას ელოდნენ, რაც ზემოთ ვთქვით, რაც დაწერილ თუ დაუწერელ წესად გამხდარიყო მირონცხებულთა საერთაშორისო თანამეგობრობაში - სიძის შერჩევას, მის გამეფებას, ან ვაჟი შვილიშვილის მემკვიდრედ გამოცხადებას. მან კი ავანსცენაზე პირდაპირ თამარი გამოიყვანა, ჯერ მეფე-თანამოსაყდრედ დასასმელად, ახლო პერსპექტივაში კი - ერთადერთ გვირგვინოსნად! უკვე გამარჯვებულმა, უკვე ღიად, უკვე თავაწეულმა. შემოიყვანა მყისვე, „მეორე დღესვე“, ვიდრე სიტუაცია ცხელ-ცხელი იყო და ვიდრე ამბავი განელდებოდა.

ასეა წყაროში: ის-ისაა დაასრულა მეისტორიემ სიტყვა ამბოხის დამარცხებაზე და „შემდგომ ამისაო“, წარუდგინა ასული ერსა და ბერსაო და დაისვა თამარ თანამოსაყდრედ, მარჯუენით თვისსაო. ასეა მატიანეში და ასეთიც იქნებოდა ტრიუმფატორი მეფის დამაგვირგვინებელი სვლა. სხვა როდის იპოვიდა აგეთ ზედმიწევნით და ზედგამოჭრილ დროს?

ბოლოს ესენიც ვიკითხოთ:

რად არ იზრუნა ბიძამ ძმისწულის გასამეფებლად იმ დროიდანვე, რაჟამს დარწმუნდა უძეობაში და მანამ, ვიდრე ამბოხება მომწიფდებოდა? აკი დემნა-დემეტრე უკვე სრულწლოვანი გამხდარიყო და არც ჯანყს გაივლებდა გულში, თუკი ეცოდინებოდა ბიძის არჩევანის შესახებ? იქნებ არაფერი პირადული და ოჯახური, უბრალოდ, მოკლული თუ უცაბედად გარდაცვლილი ძმისა (დავით V) და მისი მოდასეების პოლიტიკურ-კლანური მიუღებლობაა დემნაზე უარის თქმის მთავარი მიზეზი?

დროდადრო ასეთ აზრსაც მოისმენთ: რა იქნებოდა, დაექორწინებინა დემნა და თამარი, ხო გაკეთდებოდა ქვეყანაო, მაგრამ იმ დროსა და იმ სამეფოში, ამ ხალხსა და ამ ტრადიციებში, ასეთი ქორწინებანი მიუღებელი გახლდათ. ძალზე ახლო ნათესაობად ითვლებოდა და ასეა დღესაც და, განსხვავებით დასავლელი თუ აღმოსავლელი მონარქებისგან, ჩვენთან მკრეხელობად აღიქმებოდა ამგვარი კავშირები. თუმცა, ესეცაა: ნეტავ, ქალის გამეფება უფრო უცნაურად გამოჩნდებოდა თუ ბიძაშვილთა დაწინდვა?

და კიდევ, სიძის გამეფების პროექტზე უარის თქმისას მამის ინსტინქტი ამოძრავებდა მეფე გიორგის თუ ასულის მიმართ განსაკუთრებული გრძნობები? ინტუიციას მიენდო თუ აქაც გათვალ-გამოთვალა, როგორც სჩვეოდა? ვაბანკზე წავიდა თუ ისეთი რამ ამოიკითხა თამარის უნარებში, რამაც საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნა? თუ უძეობის მთელი ბრაზი თამარისადმი იმედებში გარდასახა და ამან აპოვნინა ასე რადიკალურად ახალი გამოსავალი?

რა გითხრათ, ესენი ცალკე საფიქრალებად დავიტოვოთ... ■

ზაზა ბიბილაშვილი

სივიწროვე

სივიწროვე ქართული სენია. არსადაა სივიწროვისა და საკუთარი თავისთვის ხელოვნურად შექმნილი დისკომფორტისადმი ისეთი დაუოკები, სისტემური, კოლექტიური ლტოლვა, როგორიც აქ, ამ ქვეყანაში. შესაძლოა, საქართველოსადმი მიკერძოებული დამოკიდებულების გამო ვაჭარბებ და სხვაგანაც ასეა - მაგალითად, წინა აზიის მტვრიან ბაზრებსა თუ ბენგალის ჭრელაჭრულა ქალაქებში, სადაც ყველა კასტა და პარალელური რეალობა ერთად იყრის თავს, მაგრამ... ჩვენ ხომ „ქართველები, მაშასადამე, ევროპელები“ ვართ?! ევროპებში კი ასე ნამდვილად არაა!

საქართველოში ყველგან სივიწროვეა:

ისე დავამთავრე საშუალო სკოლა, გაკვეთილების დასრულების მერე სკოლის შენობიდან გამოსვლა (ნახევრად გაღებული ორფრთიანი კარის გამო) ხანგრძლივი ჭყლეტის გარეშე შეუძლებელი იყო.

ისე დავამთავრე უნივერსიტეტი, პირველი კორპუსის მთავარი კარი თითქმის არ გაღებულა (გარდა იმ დღისა, როცა გადამწვარ და აოხრებულ თბილისში მოსკოვიდან ახლად ჩამოსული შევარდნაძე ესტუმრა ცოდნის ტაძარს). ამის ნაცვლად, ქვედა, „გვერდითა“, ცალფარანდად გაღებული სათადარიგო შესასვლელიდან გვატარებდნენ ყველას.

სტადიონი? სად არ ვყოფილვარ ფეხბურთზე - გონიერი მოსახლეობის ხარჯზე ფონს გასულ ინგლისში, სწორხაზოვნებით განთქმულ გერმანიაში, ბოჰემურ ესპანეთსა და, საბჭოთა ბავშვობისას, საძულველ რუსეთშიც კი! იქ რომ გიჟი გულშემატკივრები - და უბრალოდ გიჟები - არიან, ეგეთებს ჩვენთან სად ნახავთ? მაგრამ მხოლოდ საქართველოშია სტადიონზე შესვლა გვარიან სრესასთან ასოცირებული. ღირსების ნაწილი ჭიშკართან თუ არ დატოვე, ისე ვერ შეაღწევ. წესია ასეთი. ან, ეგებ, უფრო ტრადიცია, რომელიც ცხოვრების წესად ქცეულა ყოველგვარი განსჯა-გააზრების გარეშე.

კარგი, სტადიონი მაინც სპორტის სფეროა და მასთან დაკავშირებულ მცირეოდენ ფიზიკურ სტრესზე წუწუნი უხერხულიც კია... თეატრი ავიღოთ! ან ოპერა. შესვლისას რომ მხოლოდ ერთ კარს აღებენ, კიდევ ჯანდაბას - ბილეთებს ამოწმებენ - მაგრამ გასვლისას რას გვერჩიან? რად არ გვიღებენ კარის ორივე ფრთას?! რამე ჩანაფიქრია, რაც არ ითქმის?

რაც უნდა ფართო იყოს ქუჩა, ქართველი გარემოვაჭრე აუცილებლად ისე დაალაგებს საქონელს, რომ გამვლელი ძლივს გაეტიოს. მესმის - სივიწროვეში უფრო ნელა მოძრაობ და მეტი შანსია, დახლზე დალაგებულმა ნივთებმა ყურადღება მიიქციოს, მაგრამ თუ, ღმერთმა არ ქნას და, რამის ყიდვა მოგინდა? მაშინ გზის ჩახერგვა და უკან მომავალთა გაჭედვა გიწევს...

ნიჩიო. რა ვქნათ? - ალბათ ასეა საჭირო. ან, როგორც ვთქვით, წესია ასეთი. ერთი ძველი ანეკდოტის არ იყოს, სადოური წესია და აქოური წესია! შეჩვეულები ვართ ასე ცხოვრებას და არ ვიცით, რომ შესაძლოა, ყველაფერი სხვანაირად, ბევრად უკეთ და კომფორტულად იყოს მოწყობილი.

თუმცა გარემოვაჭრეებს ნუ გამოვარჩევთ... გინახავთ „ფეშენებელური“, მილიონიანი ვილებით გაწყობილი „პრესტიჟული“ - გინა „ელიტარული“ - უბნები ან „ეკოლოგიურად სუფთა გარემოში“ რჩეულთათვის ნაგები „ექსკლუზიური“ დასახლებები, რომლებშიც ფეხით მოსიარულეებსა და მანქანებს თავისუფლად შეეძლებათ გადაადგილება? ალბათ, არა. სამაგიეროდ, ისეთებს უხვად გაიხსენებთ, სადაც ვეება გალავნებით შემოღობილ სრა-სასახლეთა პატრონებს გასავლელად ერთი მანქანის სავალი გზა დაუტოვებიათ. უცხო არ ადარდებთო, იტყვით. მაგრამ ნუთუ თავად არ წუხდებიან?! ან სტუმარი არ მოსდით? ან ის მაინც არ გაუგიათ, რომ არა კვადრატულობითა ხოლო ცხოვნდების კაცი?

კორპუსებიც ვახსენოთ (თბილისი ხომ კორპუსების ქალაქია. ამასობაში უკვე ბათუმიცა და ნელ-ნელა სხვა ურბანული ცენტრებიც): დანგრეული ბარაკის ადგილას თუ ტრიალ მინდორში (განაშენიანება ნულიდანაც რომ იყოს დაპროექტებული) - ქართველი დეველოპერი ყველაფერს ისე დაგეგმავს, რომ იმთავითვე სივიწროვე სტანჯავდეს მუშტარსა და გამვლელს. საბურთალოზე ახალი, 10-ათასიანი, სპორტის სასახლე ზედ გზისთვის ისე მიუბჯენიათ, როგორც ხანჯალი ზვიადაურის ყელზე... აი, ძველი სპორტის სასახლე კი იმგვარად შემორაგ-შემორკალეს ეკლექტური სტილისა და გაგების ნაგებობებით, რომ არათუ მანქანით, ფეხითაც ძლივს



შემოუვლი ოდესღაც თბილისის ამ არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას. ზუგდიდში ცარიელ ადგილზე ისე ახლო-ახლოს აუშენებიათ კორპუსები დევნილებისთვის, ერთი ვარჯიდან ამოსული ტოტები გეგონება. გუდაურსა და ბაკურიანში ჩვენ თვალწინ ნიუ-გლდანი იშვა, თავად გლდანსა და ყოფილ „აკადემქალაქში“ კი - ახალი გიზა, გნებავთ - ღაზაც. ბათუმი, რომელიც 10 წლის წინ კოპწია ზღვისპირა ქალაქი იყო, უგუნური განაშენიანების მსხვერპლად და ადამიანური სიხარბის სევდიან ძეგლად ქცეულა. რაც ყველაზე ტრაგიკულია, ეს ჭრილობები მოუშუშებელია, ზიანი - შეუქცეველი.

კორპუსი იქნება თუ ახალი სავაჭრო ცენტრი, შენობა აუცილებლად ისე უნდა იყოს მიდგმული ქუჩას, რომ ტროტუარი კი არა (სადღაა ტროტუარები, მათ ადგილას ნაცრისფერი კორპუსები, კომერციული ობიექტები ან ბენზოგასამართი სადგურებია), სამანქანო გზაც დაახრჩოს. შიგნით, შენობაში, თუ შეაღწიე, შეიძლება, დიდებული, ნუვო-გრუზინული სამყაროს ბრწყინვალება შემოგეგებოს და წელზე შემოგხვიოს ხელი... მაგრამ... შეაღწევ კი? და რის ფასად?! - საკითხავი, აი, ეს არის!

და პარკინგი? თითქოს რთული არ არის, ისე დაიგეგმოს შიდა თუ გარე საპარკინგე სივრცეები, რომ გაზრდილი კოეფიციენტითა და გასაყიდი კვადრატული მეტრების დოლარებზე გადაანგარიშებით მოგვრილ სიხარულს ცოტა იოდიზებული მარილი მოეყაროს და დედაქალაქის დავიწროებულ პროსპექტებსა და ჯოჯოხეთურ საცობებს რის ვაივაგლახით გადარჩენილ მძღოლთა ვარამი დროის უაზრო ფლანგვით გამოწვეულმა დამატებითმა ტანჯვამ არ გაამძაფროს... მაგრამ არა! - დაე, იწვალოს მძღოლმა! აქ დროს ხომ მაინც არა აქვს ფასი?

საქართველოში, რომლის სულიერ თუ მატერიალურ სივრცეში ამდენი თავისუფალი და აუთვისებელი ადგილია, სივიწროვე - გნებავთ იწროება - ჩვენს ეროვნულ ბრენდად ქცეულა. იწროება, რომელიც ძველ ქართულში სიმწირეს, სიღარიბეს, შეზღუდულობას ნიშნავს და რომლის სასარგებლოდ არჩევანს საზოგადო სიკეთის განცდით შეუბოჭავი ქართველი ყოველდღიურად აკეთებს.



ჩვენში სივიწროვე არა მარტო ადამიანის, ნადიმის ხვედრიცაა. ტყუილად არ ამბობდა ქართული მწუხრის დედოფალი, „შანხაელი“ გულიკო კერესელიძე, სუფრა სივიწროვით ფასობსო. გაციებული მწვადის საინი ესრეთ მოხდენილად უნდა ეყრდნობოდეს სუფრაზე წინასწარ ჩადგმული ოლივიეს თეფშსა და ფხალეულის გობს, რომ მესამე იარუსზე შემოდებული კრემიანი ნამცხვრის ნაჭერი გადაღებისას ჩაშუშულის ცხიმიან ჯამში არ ჩაგივარდეს და ხარჩოში ჩაწობილი სველი სახელო უნებლიეთ გვერდზე მჯდომ უდანაშაულო თანამეინახეს არ შეაწმინდო...

საქართველოში, რომლის სულიერ თუ მატერიალურ სივრცეში ამდენი თავისუფალი და აუთვისებელი ადგილია, სივიწროვე - გნებავთ იწროება - ჩვენს ეროვნულ ბრენდად ქცეულა. იწროება, რომელიც ძველ ქართულში სიმწირეს, სიღარიბეს, შეზღუდულობას ნიშნავს და რომლის სასარგებლოდ არჩევანს საზოგადო სიკეთის განცდით შეუბოჭავი ქართველი ყოველდღიურად აკეთებს. ზოგჯერ შეგნებულად, უფრო ხშირად კი - დაუფიქრებლად: თითქოს ინსტინქტურად ესწრაფვის დღენიადაგ თვით-

მოვლენილ დისკომფორტში დარჩენას. იქნებ, ზოგი ახირებული ადამიანის არ იყოს, პრობლემების გადაჭრის მოტივაცია კი არა, საგოდებლის შენარჩუნების ქვეცნობიერი სურვილი გვასულდგმულებს?

სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო, უთქვამს ქართველს დარდიმანდულად და მრწამსადაც უქცევია. სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო, ვამბობთ ანგარიშმიუცემლად და ჩვენივე ხელით წლიდან წლამდე ვავიწროებთ, ვაუშნოებთ, გაუვალსა და უცხოვრებელს ვხდით საკუთარ საარსებო სივრცეს, აგრესიული სიმახინჯით ვიჭრებით ივერიის ქალწულ ლანდშაფტში, ესთეტიკურ ხეიბრებად ვზრდით თაობებსა და თავადაც ვისახიჩრებთ ფსიქიკას.

არ ვიცი - ეროვნულ სპორტად ქცეული მაზოხიზმი, მოქალაქეობრივი ახლომხედველობა, საღი აზრის დეფიციტი თუ ჩამორჩენილი სოციუმისთვის დამახასიათებელი თვითდაზიანების სპირალია ეს ყველაფერი? იქნებ ყოველივე ერთად... ასეა თუ ისე, ფაქტია - ეს გზა უკვე ისე დავიწროვდა, როგორც სტაჟიანი ლოთის სისხლძარღვები ინფარქტის წინ.

რომ გაწყდეს, გვიანი იქნება. ■



ქეთი
ქურდოვანიძე

ოლიგარქი და სხვა ფიზიკური პირები

ამ სტატიის დასათაურება და ფაზლის პრინციპით აწყობა შთამაგონა დავით ქართველიშვილის რომანმა „მეგაპოლისი და ფიზიკური პირები“. მადლობა მას ამ რომანისთვის.

საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ დასავლეთის ყურადღება ბოლო დროა საგრძნობლად გაიზარდა. იკითხავთ, განა, რა დაინახეს ისეთი, რაც აქამდე დღესავით ნათელი არ იყოო? რამ შეაშფოთა ესოდენ ავტორიტეტული ორგანიზაციები და საერთაშორისო საზოგადოება, რომ არ დარჩა საქართველოსთან დაკავშირებული თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც „ოქროს ასოებით“ არ ჩაწერილა ბიძინა ივანიშვილის სახელი და გვარი? აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანართი, რომელიც ამ სახელისა და გვარის გასწვრივ განცხადებიდან განცხადებამდე, ფორუმიდან ფორუმამდე, კონფერენციიდან კონფერენციამდე დრამატულად იცვლება და სულ უფრო მეტ დისკომფორტს უქმნის საქართველოს არაფორმალურ მმართველსა და მის, ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, პრორუსულ ხელისუფლებას.

ივანიშვილის თავს დატეხილი დასავლური რისხვა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ჩვენი წერილი ილიკო-ილარიონის მსჯე-

ლობას რომ არ დაემსგავსოს, სპეკულაციებისგან თავს შევიკავებ. მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილზე, როგორც ჯერ არაფორმალურ მმართველზე, მერე ავტორიტარზე, ბოლოს კი პრორუს ოლიგარქსა და საქართველოს დასავლეთთან დამშორებელზე ღაღადებენ საერთაშორისო დოკუმენტები. მიუნხენის კონფერენციის 2024 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პრორუსი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს მმართველი პარტიის დამფუძნებელი პასუხისმგებელია ქვეყნის ბოლოდროინდელ დემოკრატიულ უკუსვლასა და ევროკავშირთან დაშორებაზე, ქართველი საზოგადოების უმრავლესობის სურვილის მიუხედავად.

ეს ჩანაწერი წინამორბედთაგან იმით განსხვავდება, რომ იქნება თუ არ იქნება ივანიშვილი ფორმალურად პოლიტიკაში, დასავლეთი საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობას მაინც მას აკისრებს. მიუხედავად ამისა, უამრავ ქართველს დასავლეთის მიერ ივანიშვილის მიმართ გამოთქმული ეპითეტები მაინც უკმარობის გრძნობას უტოვებს. რამდენი რამის დამატება შეიძლებოდა: 2012 წლის არჩევნების წინა ღამეს ქვევრში ჩამხრჩვალი ჩვილი ბარბარე რაფალიანცის შემზარავი და დღემდე გამოუძიებელი სიკვდილის წინასაარჩევნო ისტერიის გასაღვივებლად გამომყენებელი, გავრილოვის ღამეს ახალგაზრდებისთვის თვალების დამთხრელი, ციხეების პოლიტპატიმრებით ამავსებელი, ქვეყანაში დიდი კორუფციისა და კრიმინალის დამბრუნებელი და ა.შ. მაგრამ ვინ მიგიშვებს, თანაც ფორმატიც შეზღუდულია და დიდი კალმოსნობის დროც არავის აქვს...



განა არ იცოდა „იმ ბრძენმა კაცმა“, რომ ადრე თუ გვიან ეს დღე დადგებოდა, განა ისე დაკარგა ანალიზის უნარი, რომ ვერ ხვდება, რაც პუტინს ჯერ კიდევ გასდის თუ ეპატიება, მისი მარიონეტებისთვის განაჩენია. ამიტომაც ხელისუფლების სადავეები, მისივე თქმით, „გამართულ და ღირსეულ“ პოლიტიკურ ძალას, „ქართულ ოცნებას“, გადააბარა და ფორმალური პასუხისმგებლობაც ბონუსად გაატანა. თუმცა ნიცშესა და ფროიდის კითხვაში სულ გადაავიწყდა რუსთველური სიბრძნე: რასაცა გასცემ შენიაო.

ამ ფორმალურ აქტს კარგი შეფუთვაც სჭირდებოდა, რადგან მისი ბიოგრაფია, ბნელი რუსული წარსული და პუტინის გარემოცვასთან სიახლოვე საპირწონეს ითხოვდა. ამიტომაც, ვინმე რომ არ დაეჭვებულიყო მის პროდასავლურობასა და დემოკრატობაში, ქართული ოცნების საპარლამენტო კოალიციის რიგები პატარ-პატარა „პროდასავლური“ პარტიებითა და პოლიტიკოსებით გაავსო. ევროპის თვალის ასახვევად პრეზიდენტად ჯერ ნიცშესა და შოპენჰაუერთან მისი მაზიარებელი უფხო ადამიანი დასვა, შემდეგ კი მთლად ევროპიდან ჩამოიყვანა ჯერ ეროვნული მოძრაობის მიერ შეჩვენებული, მერე კი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიერ მინისტრობიდან გაშვებული ფიგურა, რომ ვერ გაუგებ ბარდა სკლიაროსივით, როდის ვისთან იყო, როდის ვის აუჯანყდა და როდის ვის უღალატა. ჩამოიყვანა და მის მაგივრად პრაქტიკულად თავად იყარა კენჭი.

სალომე ზურაბიშვილის ჩამოყვანაზე სულ თორნიკე ერისთავი მახსენდება, დავით კურაპალატი რომ ეუბნება, რა გინდა ათონის მთაზე, განა აქ ცოტა ეკლესია-მონასტერი გვაქვსო. ჰოდა, რად უნდოდა ივანიშვილს ზურაბიშვილის აქეთ-იქით ამხელა გზაზე ტარება? განა ცოტა სალომეს ტოლი და სწორი მანდილოსანი ამშვენებდა ჩვენს პოლიტიკურ ისტებლიშმენტს? მაგრამ ვინ იცნობდა ამათ დასავლეთში, ან ვის ნათესაობას მიუწვდებოდა ხელი პუტინთან... ჰოდა აახლეს სალომეა ბიძინას, ვითარცა თავის მომჭრელი ამა ქვეყნისა.

ასეთი პროდასავლური კონტენტი შექმნა ივანიშვილმა ხელოვნურად დანაწევრებული, ორორკაციანი „პროდასავლური“ პარტიებით, რომელ-

თა წევრებმა ის მაინც იცოდნენ, რომ „თალიბანი“ ადამიანი არ არის, „იბიარდი“ კი - სექსმუშაკებთან გართობა, ოცნების სხვა წევრებისგან განსხვავებით; ჰარვარდისა და კემბრიჯის სამთვიანი კურსების სერტიფიკატებით აღჭურვილი ახალგაზრდა პოლიტიკოსებით; მათი მიბაძვით, საერთაშორისო ტრიბუნაზე ოცნების ძველი გვარდიის ინგლისურენოვანი გამოსვლებით, ერთ სიტყვას რომ ვერ გაიგებდა იქ მყოფი; სტაჟიანი „ფარმაზონების“ მიერ დასავლურ პრესაში შეკვეთილი სახოტბო წერილებით, რომლებშიც ბიძინა ივანიშვილის რუსული ფულისა და საბჭოთა სულისკვეთების შესანიღბად ათიათასობით დოლარი იყო გადახდილი; პოლიტპატიმრებად ციხეებიდან გამოშვებული კრიმინალების მოამაგეებითა და ახალი ქართული სახელმწიფოს შემქმნელთა მოსისხლე მტრებით, რომელთა „დემოკრატიული“ განცხადებებით - პოლიტიკური ოპონენტი, დამნაშავეც რომ არ იყოს, მაინც ციხეში უნდა იჯდესო, არადა, დღეს რომ გაახსენო, გიპასუხებენ, რა, სად, როდის ვთქვითო? ამ ყველაფერს დაემატა „სისხლიანი ცხრა წლის“ დროს მომზადებული ევროპასთან უვიზო მიმოსვლის დოკუმენტზე ხელმოსაწერად გამოსული ქართული დელეგაცია „კინტოურის“ თანხლებით.

ყოველივე ამის შემდეგ, ვინღა უნდა დაეჭვებულიყო ივანიშვილის პროდასავლურობასა და დემოკრატობაში? არც დაეჭვებულა. ბოლო რამდენიმე, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემური, არჩევნები, „გაუპრავა“ ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და „გაუტარა“ ოპოზიციამ. და ეს ყველაფერი გავრილოვის ღამისა და ახალგაზრდებისთვის დათხრილი თვალების შემდეგ.

ასე მინავლდა ივანიშვილის ცნობიერებაში სიტყვები პასუხისმგებლობა, კანონი, საერთაშორისო სამართალი, ლიბერალური დემოკრატია, სანქციები და ა.შ. მიჰყვა კაცი წადილის ვნებას. რატომაც არა, როცა გაგდის შინაც და გარეთაც?

იხრწნებოდა ხელისუფლება და სარკისებური ეფექტით საზოგადოებაც, ვიდრე ამ უკიდეგანო აღვირახსნილობამ პიკს არ მიაღწია და ახლა უკვე რუსული კანონის მიღებით საბოლოოდ არ მოიწადინა რუსმა ოლიგარქმა დასავლეთის საქართველოდან ისე გასტუმრება, როგორც პრემიერი ღარიბაშვილი გაისტუმრა პირველ ჯერზე და თან მიაყოლა, რაც გინდათ, ის დაუძახეთო. ჰოდა კიდევაც ეძახა ახალმა პრემიერმა კობახიძემ ევროპარლამენტარებს ხან კორუმპირებულები და ხანაც - საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოთავენი.

ამ დროისთვის ბიძინა ივანიშვილს უკვე მოშორებული ჰყავდა მის ორბიტაზე არსებული „პროდასავლური პარტიები“ და პოლიტიკოსები, ფილოსოფოსი პრეზიდენტი - კარტოფილის პლანტაციებში იყო გადამისამართებული, ოპოზიცია - ფრაგმენტირებული, ციხეები კი - პოლიტპატიმრებით სავსე.

როგორც არ უნდა შეფასდეს სამომავლოდ სააკაშვილის ციხეში ყოფნის ეპიზოდი, ერთი რამ ცხადია, სწორედ მის მიმართ მოპყრობის საკითხით დაიწყო დასავლეთმა ივანიშვილის გაფრთხილება, ჯერ რბილად, მერე კი - აშკარად. საპასუხოდ, სალანძღავი ტირადები მიიღო თითქმის ყველა სახელისუფლო რგოლიდან, ბოლოს კი - ევროკავშირის დროშისთვის კალაშნიკოვის ავტომატივით მიშვერილი წყლის ჭავლი. ეს ბოლო წვეთი იყო, რომელმაც აავსო თვით ისეთი თავშეკავებული ევროპელი ლიდერების მოთმინების ფიალა, რომლებიც ერთნაირი ტემპერამენტით მსჯელობენ ხოლმე უკრაინის ომსა და გლობალურ დათბობაზე.

აქ ისევ უნდა გაგვახსენდეს ბიძინა ივანიშვილის მიერ ევროპიდან ჩამოყვანილი უფუნქციო და უუფლებო პრეზიდენტი, რომლის არსებობასაც შიგადაშიგ გვახსენებდა ხოლმე ოპოზიცია, როდესაც პოლიტპატიმრების შეწყალებით მიმართავდა, ის კი მაშინვე ბრიფინგს მოიწვევდა, რაღაცას იბოდიალებდა და სიტყვას ედგარ პოს „ყორანის“ ერთი ცნობილი ფრაზით დაასრულებდა - „არასდროს!“.

ჰოდა, აი, მისი ჯერიც დადგა, თურმე არც ისე გამოუსადეგარი ყოფილა, როგორადაც ოპონენტები წარმოაჩენდნენ. და ამათ ნეტარ ქოცთა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა, და კეთილად განმგებელი სალომე ზურაბიშვილი - ივანიშვილის მაშველი რგოლი, გაოპოზიციონერებული პრეზიდენტი და გამიჯნული ქოცთა ვარამს, დიდი ალბათობით კი, დაკნინებული ოპოზიციის ოპოზიციადმყოფელი, რამეთუ მგელმა და კრავმა ერთად სძოვონ. აქვე გამოჩნდნენ და გააქტიურდნენ პოლიტიკიდან არაერთხელ გაყრილი და თავსლაფდასხმული ლიდერები. პოლიტიკის ჩრჩილებივით ამოფრინდნენ ნაფტალინიანი პარკებიდან უკვე მერამდენედ და მოედნენ ტელეეთერებს, ხელშეწყობაც არავის დაუყვედრებია.

და გაიშალა დამჭკნარი ვარდი თინათინისა და ეკატერინესი, არმაგედეონისა და დავითისა. და თუ ვინმეს მათზე საყვედური დასცდა, მაშინვე ხმა ჩააგდებინა დემოკრატიისა და პროგრესის მეინსტრიმმა, თანაც შეარცხვინა, საქართველო მარტო ანოსი და ვანოსი კი არ არისო.

ასე გაცოცხლდა და ახალ ძალად მოგვევლინა სულ მოკლე ხანში „ოცნებიდან“ ბედის ანაბარად გამოგდებული და ქართველთა მოკლე მეხსიერების იმედად დარჩენილი კარგად დავიწყებული ძველი, რომლის პოლიტიკურ სანაგვეზე გაშვებას ჯერ კიდევ გუშინ იქადნებოდა ივანიშვილის მიერ აწიოკებული, შევიწროებული და დევნილი ოპოზიცია.

რას იზამ, დემოკრატია ლობიოობა არ არის. ჰო, ლობიოზე ისევ სალომე ზურაბიშვილი გამახსენდა: როგორ სწრაფად იცვლება დრო ამ წუთისოფელში - თუ შარშან დამწვარი პასკების ფოტოებს აზიარებდა, დღეს მის ფეისბუკს ოპოზიციური ფუსფუსით გამთბარი სურათები ამშვენებს, თუმცა ყველაზე გულისამაჩუყებელი მაინც ზელენსკისთან წამიერი გადაკვეთისას გადაღებული ფოტოა. ისე რომ ვთქვათ, რა ქნას მეტი, რა შეუძლია? ერთადერთი უფლება, რომელიც მის ხელთაა, პოლიტპატიმრების შეწყალებაა, რომელსაც ის ჯიუტად არ იყენებს. და კიდევ, ამ ყველაფერს ფონად გასდევს მისი დაუვიწყარი წიგნი რუსეთ-საქართველოს ომზე, რომლის დაწერის გამო არც ბოდიში მოუხდია ქართველი ხალხისთვის და არც სინანული გამოუხატავს, და რომელიც ჯერაც ამშვენებს მის სამუშაო კაბინეტს.

დაბოლოს, ვისაც ეს ოლიგარქის მოდერნიზებული პრეზიდენტი და სხვა ფიზიკური პირები მართალი ადამიანები ჰგონია, ვთხოვ, ყოველთვის, როდესაც მათთვის ხოტბის შესხმას მოიწადინებთ, გაიხსენეთ ილიას უკვდავი სიტყვები, რომ „არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.“ ■

გიორგი არზიანი

აფხაზეთის ომის საკითხი 30-ე წლისთავზე

სამსახურებრივი ურთიერთობების დროს საქართველოში ხშირად გიწევს ორი შეხვედრის ჩანიშვნა ერთსა და იმავე დროს, რადგან, დიდი ალბათობით, მოსალოდნელია, რომ ერთ-ერთი მაინც გაგიუქმდება. არც უნდა იჩქარო შეხვედრაზე, რადგან შენი მოსაუბრე მაინც თვითონ დააგვიანებს. შეხვედრის დაგეგმვისას ხშირად გესმის, რომ ადამიანი გადარბენებზეა, ან დაკავებულია წლის ბოლომდე და გპირდება, რომ შეგეხმიანება, როცა მოიცლის. ხშირად ხდება, რომ ვერ იცლის.

რა თქმა უნდა, რეალური სამუშაო კულტურის ამდაგვარი აღწერა ზოგს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, თუმცა ფაქტია, რომ ქვეყანაში ხშირად ელემენტარული საქმის გაკეთება მოულოდნელ სირთულეებს უკავშირდება. ამიტომ არცაა პარადოქსული, რომ იმ ქვეყნის საჯარო სივრცეში, რომლის ეგზისტენციალური პრობლემა მისი ტერიტორიების ოკუპაციაა, ძნელად თუ მოიძებნება ადგილი, სადაც ამ თემაზე პროფესიონალურად და მეცნიერულად საუბრობენ. ხარისხიან დისკუსიას მონატრებულ საზოგადოებას კი ერთმანეთში ერევა პოპულისტური საჯარო პაექრობა და ეპიზოდური რეპლიკები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დისკუსიაში.

ოქტომბერში „რადიო თავისუფლებამ“ გამოაქვეყნა სამი სტატია, რომლებშიც ავტორებმა გააანალიზეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და დომინანტი ნარატივები ომიდან 30-ე წლისთავზე. ავტორები სულ სამიოდე ტექსტით შემოიფარგლნენ და ეს გაცვლა-გამოცვლა, სამწუხაროდ და მოსალოდნელად, მალევე დასრულდა. არ ვისაუბრებ ამ სტატიების დადებით მხარეებზე, რომლებიც ბევრია. თუმცა შევეცდები, გავაგრძელო ეს დისკუსია და სადისკუსიო მაგიდასთან ახალი თემები შემოვიტანო, რომლებსაც მოკლე თეზისებად ჩამოვაყალიბებ:

მნიშვნელოვანი საკითხია - რომელიც ხშირად იკარგება, როცა ჩვენ ვცდილობთ კონფლიქტის მხარეების მორიგ ჯერზე იდენტიფიცირებას - პასუხისმგებლობის საკითხი ომის დანაშაულებსა და ეთნიკურ წმენდაზე. ვინ არის პასუხისმგებელი მომხდარ დანაშაულზე - რუსეთი, აფხაზური მხარე, თუ ორივე?

პასუხი ამ შეკითხვებზე ხომ საკვანძოა სამომავლო შერიგებისთვის.

მეორე პრობლემაა ის, რომ მხარეთა იდენტიფიცირების შესახებ დისკუსიის პარალელურად მუდმივად ვხვდებით მცდელობებს, განისაზღვროს რუსეთის ხვედრითი წილი და მნიშვნელობა ამ კონფლიქტში. აქაც კამათი მეორდება მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულების გარეშე. ჩემი აზრით, რუსეთის როლი საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ კონფლიქტებში უკვე იყო კონცეპტუალური, რაც გულისხმობს არასაკმარის, თუმცა განუყოფელ ნაწილს იმ პირობისა, Inus condition, რომელიც არაა-უცილებელია, თუმცა საკმარისია დამდგარი შედეგისთვის - როგორც ჩვენს შემთხვევაში: ტერიტორიების ოკუპაციისა და რეალური ან/და აღქმული ეთნოკონფლიქტისთვის.

ამასთანავე, ზემოხსენებული კონცეპტუალიზაცია პრინციპულად მნიშვნელოვანია სეპარატისტთა „ნების“ და ქმედებების ფორმალიზებული ანალიზისა და შეფასებისთვის. განვაზოგადოთ ორი ვარიანტი: აფხაზური მხარე ან მოქმედებდა, როგორც რუსეთის შემსრულებელი, ან - დამოუკიდებლად. გვერდზე რომც გადავდოთ რადიკალური ნაციონალური ნარატივები, პოლიტიკური მოთამაშეების მოქმედებები არსებული მაკროსტრუქტურული წინაპირობებით განისაზღვრება და ნაციონალური ნარატივები ამის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია. ჩვენს შემთხვევაშიც დამდგარი შედეგისთვის სულ ერთია, მოქმედებდა აფხაზური მხარე დამოუკიდებლად თუ როგორც მართული ინსტრუმენტი, რადგან აფხაზური მხარის ქმედებების რადიკალიზაცია და ძალადობრივი ხასიათი კონფლიქტის ესკალაციის ეტაპზე განპირობებული იყო ან იმ მოლოდინით, რომ რუსეთი მათ დასახმარებლად ჩაერთვებოდა, ან იმით, რომ ამდაგვარი რადიკალიზაციის გზით ისინი თავად ზრდიდნენ რუსეთის ჩართულობის შანსებს. ანუ აფხაზური მხარის პოლიტიკური „ნების“ ამგვარი რადიკალური გამოვლინების მთავარი და განუყოფელი ფაქტორი რუსეთი იყო.

მესამე პრობლემაა, რომ საზოგადოებრივი დისკურსი კონფლიქტების თემის ირგვლივ თითქმის მთლიანად მიმართულია მხოლოდ წარსულზე. საზოგადოდ, ქართული საზოგადოება თანხმდება რუსეთის ფაქტორის მნიშვნელობაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ ჯერ კიდევ დიდი სიახლეების გარეშე ვკამათობთ აღნიშნულზე და ეს კამათი იწვევს ჩვენში სამართლიან იმედგაცრუებას. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ შეთანხმებული მომავალზე. მიმზიდველი იდეალი, რომ დემოკრატიული საზოგადოება შეიძლება შეთანხმდეს წარსულზე, ჩვენს შემთხვევაში ზედმეტად ძვირად ღირებულია, ალტერნატიული დანახარჯების გათვალისწინებით. ჩვენი ენერგიის უდიდესი ნაწილი ხმარდება მხოლოდ და მხოლოდ წარსულის შესახებ კამათს, ხოლო ისედაც დეფიციტური ინტელექტუალური რესურსი იხარჯება არასაუკეთესო გზით.

დეოკუპაციის თემაზე ჩვენ ძალიან ცოტას ვსაუბრობთ და უფრო ნაკლებს ვწერთ. ბოლოდროინდელი დისკუსიებიდან მინდა ორი სტატია გამოვყო, რომლებშიც ავტორებმა წამოჭრეს მომავლის საკითხი. პირველი - დავით საყვარელიძის სტატიაა. ამ სტატიის ავტორი ძირითად აქცენტს სვამს საკითხის გადაჭრის გეოპოლიტიკურ განზომილებაზე და სტატუსთან დაკავშირებული რიგი რეფერენდუმების ჩატარებაზე. მეორე - მე მეკუთვნის. სტატიაში ძირითად სცენარად განხილულია მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იურისდიქციის სრული აღდგენა და დევნილების დაბრუნება. სტატიის მთავარი თემაა მომავალი საარჩევნო კანონმდებლობის პროექტის განხილვა, რომელიც უპასუხებს, თუ რა სისტემით შეიძლება უზრუნველვყოთ დემოკრატიული პროცესების სწორი წარმართვა აფხაზეთში დეოკუპაციის შემდგომ. ეს ის საკითხია, რომელიც თავისი მნიშვნელობის პირდაპირპროპორციულად უგულებელყოფილია.

ამ ეტაპზე, ასევე, არ შევჩერდები ამ სტატიების ძლიერი თუ სუსტი მხარეების ანალიზზე, რადგან განსახილველი თემების სია არ არის ამოწურული. მაგალითად, საკითხი, რომელიც არც წარსულის ისტორიული პრიზმიდან და არც მომავლის პერსპექტივიდან არ გაანალიზებულა - ქონებრივი უფლებების რესტიტუციაა. სავარაუდოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქონება მიტაცებულ იქნა არა მხოლოდ დამტაცებლებისთვის ეკონომიკური სარგებლის შექმნის მიზნით, არამედ ომის ცხელი ფაზის შეწყვეტის შემდგომ აფხაზეთიდან დევნილებისთვის უკან დაბრუნების ყველა საშუალების მოსასპობად. შედეგად, მივიღეთ კონფლიქტის ტრანსფორმაციის ფაქტობრივი შეუძლებლობა და მისი გაყინვა. ალტერნატიული სცენარის შემთხვევაში დევნილებს დააბრუნებდნენ საკუთარ სახლებში და კონფლიქტის ტრანსფორმაცია და, შესაბამისად, პოლიტიკური გადაწყვეტილების გამონახვა ბევრად მარტივი იქნებოდა.

თუმცა ქონებრივი რესტიტუციის საკითხი საკვანძოა, როგორც ალტერნატიული წარსულის, ისე მომავლის პერსპექტივიდანაც, რადგან კონფლიქტის მოგვარება პირდაპირ უკავშირდება უძრავი ქონების საკითხს. ძნელი სათქმელია, რა იქნება უფრო რთული - ამ საკითხის კონცეპტუალურ დონეზე გადაჭრა თუ შემდგომი შესაძლო განხორციელება. ვინ რას იბრუნებს? როგორ უნდა მოხდეს ქონების გაცვლა-გამოცვლა ქონების სამართლიან მესაკუთრესა და არსებულ მფლობელს შორის? რომელი პრიორიტეტული ჯგუფები უნდა გამოვყოთ? რა გავლენას მოახდენს ჩვენი გადაწყვეტილებები მომავალ შესაძლო უთანასწორობაზე? შერიგებაზე? როგორ სამუშაო ადგილებს შექმნის? რა თქმა უნდა, ამ საკითხებით ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ მსჯელობას. იმისდა მიუხედავად, რამდენად გვჯერა ახლო მომავალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება უნდა განიხილებოდეს ერთადერთ საბაზისო სცენარად. სხვა შემთხვევაში საკამათოც არაფერია.

საბჭოთა მოგზაურის ჩანაწერები

გიორგი ანთაძე

La Dolce Vita

საბჭოეთში დასავლურ კინემატოგრაფიას იმდენად ვიცნობდით, რამდენადაც ამის საშუალებას ცენზურის მკაცრი ხელი გვაძლევდა. დღემდე არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას ანაგის ქუჩაზე მდებარე კინოთეატრი „გაზაფხული“, მაგრამ ფაქტია, რომ ეს იყო ერთადერთი ადგილი თბილისში, სადაც მუდმივად გადიოდა აკრძალული თუ არა, საბჭოთა ცენზურის მიერ არცთუ ისე ხელდასხმული ფილმები. დანარჩენ თეატრებში კი ევროპული და ამერიკული კინოს შედევრები მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე თუ გამოჩნდებოდა. ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც მწვანე შუქს უნთებდნენ დასავლურ ფილმებს, იყო კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეების წარმოჩენა და კლასობრივი ბრძოლის დემონსტრაცია. ამ ნაკადში ზოგჯერ ნამდვილი კინოშედევრებიც გამოერეოდა ხოლმე, თუმცა ისიც ცენზურის მიერ დაჩეხილი, სახე და ხანდახან სახელშეცვლილიც კი.

იყო კიდევ ერთი „საკრალური“ ადგილი, სადაც ცენზურის გვერდის ავლით შეიძლებოდა დასავლური ფილმებით ტკბობა. თუმცა კინოს სახლი, ანუ მაშინდელ სლენგზე „დომკინო“, ყველასთვის ხელმისაწვდომი როდი იყო და მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ იქ კინოჩვენებებზე მოხვედრა. თუმცა ეს არ იყო მხოლოდ კინოჩვენების ადგილი. თამამად შეგვეძლო მისთვის ასევე გვეწოდებინა მოცეკვავეების მიერ გასტროლებიდან ჩამოტანილი სამოსის

დეფილეს, „სპეკულანტებთან“ ნაყიდი სუნამოების სურნელთა ფრქვევის ან უბრალოდ ის ადგილი, სადაც ფედერიკო ფელინიზე რუსულად ბაასი კარგ ტონად ითვლებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა და გლობალიზაციამ ეს პრივილეგიები მოსპო, თორემ მაშინ მხოლოდ განსაკუთრებული „კასტის“ წარმომადგენლებს შეეძლოთ დასავლური ცივილიზაციის ამ სიამეებით ტკბობა.

პირველი დარტყმა საბჭოთა ელიტურ პრივილეგიებს სწორედ ტექნოლოგიებმა მიაყენა. 80-იანი წლების საბჭოთა ქალაქებში „ვიდეომაგნიტოფონი“ ისე შემოიჭრა, როგორც გოძილა - ტოკიოში. „ვიდეომაგნიტოფონი“, ანუ დღევანდელი ვიდეოფლეერი, რკინის ფარდის ნამდვილი დეტონატორი გახდა. მიუხედავად საბჭოთა მებაჟეების „უანგარო“ მუშაობისა, მაინც შემოდიოდა და შემოდიოდა ვიდეოკასეტებზე ჩაწერილი აკრძალული კინოპროდუქცია. გაჩნდა ბიზნესი: ვიდეოების გაქირავება, გაჩნდა გართობის საუცხოო სახე: რამდენიმე დღით ბინაში გამოკეტვა და უცხო ფილმების საათობით ცქერა მეგობრებთან ერთად. აკრძალული ფილმების რუსულად გახმოვანება იატაკქვეშა ხელობა იყო. საბჭოთა უშიშროების სამსახურებს მთარგმნელის ხმის ამოცნობა რომ გასძნელებოდათ, ეს უკანასკნელი ხშირად ცხვირზე სარეცხის სარჭს იკეთებდა და ისე იწერდა ხმას. პორნოგრაფიის, ვესტერნის, კარატესა და თრილერების გარდა, ნამდვილი კინოშედევრებიც ხელმისაწვდომი გახდა. ფილმების სათაურებს რატომღაც მხოლოდ რუსულად წარმოვთქვამდით: „ადნაჟდი ვ ამერიკე“, „პასლედნოე ტანგო ვ პარიჟე“ , „ხაროში, პლახოი, ზლოი“ და ა.შ.

ამ სოციალური აფეთქების შედეგი კი ის იყო, რომ ფელინიზე უკვე უბრალო ხალხიც ალაპარაკდა თავისუფლად, პორნოგრაფიისა და ეროტიკის ერთმანეთისგან გარჩევა დავიწყეთ, დანარჩენი მსოფლიოს ისტორიაც ვისწავლეთ ცოტაოდენ და ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ დასავლური Dolce Vita (ტკბილი ცხოვრება) არცთუ ისე ტკბილი ყოფილა, როგორც ამას „ხალხთა გალიაში“ გამომწყვდეული მეოცნებენი ვვარაუდობდით.

ნელ-ნელა იხსნებოდა რკინის ფარდა. პირველ ჭუჭრუტანებში მუსიკამ, კინომ, სპორტმა და პეპსი-კოლამ შემოაღწია. თბილისის „დინამოს“ ევროპულ ტურნირზე გამარჯვებამ, დასავლური ფეხბურთის პერიპეტიების გარდა, ისიც გვასწავლა, რომ სტადიონზე გულშემატკივრობა მხოლოდ დედის გინებით არ გამოიხატება და ხანდახან შენი გუნდის გასამხნევებლად სიმღერაც შეიძლება. ვისწავლეთ კიდეც უმოკლეს დროში და ჩვენი ორიგინალური ინოვაციაც შევქმენით: საბჭოთა გაზეთების ჩირაღდნებად დანთება სტადიონზე. იწვოდა და ინავლებოდა გაზეთი „პრავდა“, „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“ გამარჯვებული ქართველი გულშემატ-

კივრების ხელში და არავინ უწყოდა იმ დროს, თუ რა სიმბოლური იყო ეს სცენა.

ყველაფერი წინ იყო, მათ შორის - ჩვენი Dolce Vita-ც.

* * *

La Dolce Vita იტალიის სლოგანია. ფელინი, მასტროიანი, სოფი ლორენი, ძეფირელი, პავაროტი, ჩელენტანო, დიდი ტოტო და კიდევ მეორე ტოტო, წლების მერე თბილისში სცენიდან რომ ქილიკობდა: ქართველებო, თქვენ თუ იცით, „კაცო“ რას ნიშნავს იტალიურ ენაზეო (ის კი არ უწყოდა, მისი გვარი რას ნიშნავდა ქართულად).

იტალიური ფეხბურთი, იტალიური ესტრადა, იტალიური ოპერა, იტალიური მოდა, იტალიური კინემატოგრაფი, იტალიური სათვალეები... ვარდისფერი არ იყო, მაგრამ ამ მუქ შუშებშიც კი ვარჩევდით იმ მიწიერი სამოთხის ფერებს. ერთი ნახვით კი არა, უნახავად შეყვარებაც არსებობს თურმე: ყველას გვიყვარდა იტალია, რომელიც თვალით არ გვენახა.

იტალიისადმი ჩემი სიყვარული კიდევ ერთმა ამბავმა განაპირობა. სამხედრო პუტჩის შემდეგ რამდენიმე თვეში, მხედრიონისგან გადაჯეგილ, გაღატაკებულ, კრიმინალით დატბორილ საქართველოში უეცრად ვინმე იტალიელი „ინვესტორი“ და „მეცენატი“ ჩამოვიდა თავისი კალაბრიელი და სიცილიელი ამფსონებით. მან სასტუმრო „აჭარის“ ბოლო სართული იქირავა რეზიდენციად და... დადგა რიგი, მაგრამ რა რიგი! ვისაც კი რაიმე ბიზნესიდეა ჰქონდა საქართველოში, ამ იტალიელი „ინვესტორის“ მოსაცდელში ათენებდა ღამეებს. ბიზნესპროექტები - ფუტკრის შხამის მოპოვებიდან დაწყებული, ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნით დამთავრებული - არ ილეოდა. იტალიელი „ანგელოზი ინვესტორის“ მიერ ვიზირებული პროექტები კი სამხედრო ხუნტის სამთავრობო კულუარებში იხილებოდა. ზოგი პროექტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც გამოინახა სახსრები, ზოგსაც ბანკები აფინანსებდნენ სამთავრობო გარანტიით, ხოლო ზოგი პროექტი თაროზე შემოდეს არასაკმარისი რესურსების გამო. მაგალითად, ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში ნაგვის საკმარისი რაოდენობა არ მოიპოვებოდა (ნაგავშიც არ გაგვიმართლა ქართველებს). საბოლოოდ ეს ისტორია ასე დასრულდა: მოაქუჩა ამ იტალიელმა „ინვესტორმა“ ბიუჯეტიდან თუ ბანკებიდან მიღებული თანხები და ერთ მშვენიერ დღეს ისე გაუჩინარდა, რომ მის კვალსაც ვერავინ მიაგნო. ერთადერთი პროექტი, რომელიც მართლაც დააფინანსეს იტალიელებმა და ამუშავდა, იყო ქართულ-იტალიური ფარმაცევტული საწარმო. არ ვიცი, როგორ



მოხვდა იმ თაღლითების გარემოცვაში პატიოსანი მილანელი აფთიაქარი ანდრეა ლეგორი, რომელსაც იმდროინდელი საქართველოს საზომით საკმაოდ დიდი ინვესტიცია ჩაადებინეს ამ პროექტში, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პატიოსანმა კაცმა დასაბამი დაუდო თანამედროვე ქართული ფარმინდუსტრიის ჩამოყალიბებას. ეს არისტოკრატი აფთიაქარი, მილანის ცენტრში, ჯაკომო პუჩინის ყოფილ აპარტამენტებში მცხოვრები, ოპერისა და ფერწერის ფანატი, უაღრესად დახვეწილი მანერების მქონე განათლებული კაცი, გახდა ჩემთვის შთაგონების წყარო და ჭეშმარიტი იტალიელის სიმბოლო, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქართველოში ჩამომყვანი სულ სხვა „ოპერიდან“ იყო.

იტალიელებთან თანამშრომლობის პერიოდში იტალიაში მაინც ვერ მოვხვდი. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გამიღიმა ბედმა, გზის სირთულეებს არ შევუშინდი და თბილისიდან იტალიისკენ ავტობუსით გავემგზავრე. სამედიცინო ინსტიტუტის ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის წევრებისთვის დაქირავებულ ავტობუსში როგორც ვეტერანმა მოცეკვავემ, ისე შევაბიჯე (თუმცა ცეკვის არაფერი გამეგებოდა, სიმღერის - მით უმეტეს). ანსამბლი საზაფხულო ფესტივალზე მიემგზავრებოდა და მთელი იტალია უნდა გადაგვესერა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ.

არა მოსკოვში წითელ მოედანზე, არა ლენინგრადში ისაკის ტაძართან, არა სომხეთში ეჩმიაძინთან, არამედ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაში პირველი კულტურული შოკი რომში მივიღე. („ჰრომი ასეთია, ასს წელს სულ იაროს კაცმა, მისს საკვირველებას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს“ - სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში.)

მოგვიანებით, როდესაც სულხან-საბას ამ ნაწარმოებს ვკითხულობდი, წარმოვიდგინე, დიპლომატიური ეტიკეტის გამო როგორ მალავდა საკუთარ გაოცებას, საკუთარ „კულტურულ შოკს“ ეს დიდი ქართველი. წარმოვიდგინე, რას განიცდიდა იმჟამინდელი საქართველოდან მე-18 საუკუნის დასაწყისის იტალიასა და საფრანგეთში ჩასული, თუნდაც ძალიან განათლებული, მაგრამ მაინც სხვა სამყაროდან მოხვედრილი ადამიანი. წარმოვიდგინე და განვიცადე კიდეც იგივე იმ ქალაქში, სადაც ყველა გზა მიდის.

„კულტურულ შოკზე“ კიდევ ერთი ამბავი მახსენდება. ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებს ამერიკის სამთავრობო პროგრამა გვმასპინძლობდა. ერთთვიანი სტაჟირების შემდეგ ამერიკელ მასპინძლებს ვემშვიდობებოდი და პათეტიკური ქართული სადღეგრძელო წარმოვთქვი იმაზე, თუ როგორ შემიყვარდა ამერიკა, როგორი შთაბეჭდილებებით ვტოვებ ამ ქვეყანას და როგორ მომენატრება ყველა, ვინც აქ გავიცანი. ეშხში



რომ შევედი, პროგრამის ხელმძღვანელმა ამერიკელმა შემაწყვეტინა და დამიყვავა: დაწყნარდი ჯორჯ, ნუ ღელავ, შენ ახლა ტიპური კულტურული შოკი გაქვს და ეცადე, დამშვიდდე და სახლში რომ ჩახვალ, რამდენიმე კვირაში გადაგივლის, ნუ გეშინიაო. არადა ზუსტად ვიცი, არანაირი „შოკი“ მაშინ არ მქონდა, უბრალოდ ძალიან ქართულად ვითამადე.

აი, იტალიაში კი სულაც არ ველოდი შოკს - დარწმუნებული, რომ ყოველმხრივ მზად ვიყავი აპენინის „ჩექმასთან“ შესახვედრად. ყველა მოგზაური გადის ამ ფაზას: როდესაც გგონია, რომ ყველაფერი იცი იმ ქვეყანაზე, სადაც მოგზაურობ, მაგრამ ყოველდღიურად ეს „ცოდნა“ და სტერეოტიპი გემსხვრევა და ამ ნამსხვრევებიდან იბადება სრულიად ახალი ქვეყანა, რომელსაც ვერასდროს გაიცნობდი სხვათა მონათხრობიდან. იტალიასა და იტალიელებზე კი სტერეოტიპებით ვიყავით დახუნძლულნი. დღეს იტალია ტურისტული დანიშნულების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია ქართველებისთვის. სამწუხაროდ, მრავალი ქართველი ემიგრანტი ქალბატონი იტალიის ქალაქებში დღედაღამ შრომობს, რათა ქართველ მეუღლეს არაფრის კეთებისა და „მუქთა“ ჭამის ქართული ოცნება აუსრულოს. ასე რომ, ქართველები უკვე კარგად ვიცნობთ იტალიას, ამიტომ იტალიის ღირსშესანიშნაობების აღწერას არ ვაპირებ, მხოლოდ რამდენიმე ჩანახატს შემოგთავაზებთ შთაბეჭდილებათა ოკეანიდან.

ვერონა - ამ დასახელების სოფელი გომბორის გზაზეც გვხვდება, მაგრამ არის ერთი განსხვავება: იტალიური ვერონის ცენტრალურ მოედანს ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობა - Arena di Verona ამშვენებს. აქ ყოველ ზაფხულს იმართება ვერონის საოპერო ფესტივალი. არენა რომაელების დროინდელი ამფითეატრია, რომელიც კოლოსეუმზე უკეთაა შემონახული. არენის აკუსტიკა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რომის იმპერიაზე დიდი ცივილიზაცია ამ პლანეტაზე ჯერ არ შექმნილა. ვერონაში ტურისტები პირველად „ჯულიეტას სახლისკენ“ მიჰყავთ. ეს სახლიც და მისი აივანიც ფეიკია, რომელიც მარკეტინგში გარკვეულმა ერთმა ამერიკელმა შექმნა. მან შეარჩია ძველი სახლი ქალაქის ცენტრში, მოიტანა სასაფლაოდან სარკოფაგი, რომელიც გახერხა და სახლის კედელს მიაკრა ისე, რომ აივნის სახე მიეცა, შესასვლელის კედელზე ჯულიეტასთან გასაგზავნი წერილების დაფა ააკრა და მას შემდეგ ტურისტების რიგი არ წყდება. ამ სახლის რეალური ღირსშესანიშნაობა კი მხოლოდ ის დარბაზია, სადაც ფრანკო ძეფირელის კინოშედევრის დროინდელი კოსტიუმებია გამოფენილი.

ბოლონია - ამ ქალაქს იტალიელები ეძახიან La Dotta, la Grassa, la Rossa - ჭკვიანი, მსუქანი, წითელი. ჭკვიანი იმიტომ, რომ აქ არის Alma Mater Studiorum - მსოფლიოში ყველაზე ძველი უნივერსიტეტი, რომელსაც



დაარსებიდან (1088 წ.) არასდროს შეუწყვეტია ფუნქციონირება და დღემდე ათასობით სტუდენტს ზრდის. მსუქანი - ბოლონია რეგიონ ემილია რომანას დედაქალაქია. ეს რეგიონი კი გასტრონომიული სამოთხეა დედამიწაზე. წითელი - შენობების უმრავლესობა ამ ქალაქში წითელი აგურითაა ნაშენი. ბოლონიას კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა ახასიათებს: თბილისზე ბევრად ადრე, ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში, წამოიწყეს აქ ლოჯიების მიშენების კამპანია. სტუდენტების დიდი ნაკადის გამო ბოლონიაში ყოველთვის სარფიან საქმედ ითვლებოდა ბინების გაქირავება, მაგრამ მოთხოვნა ყოველთვის აღემატებოდა მიწოდებას. ამიტომ ბოლონიელებმა მასიურად დაიწყეს საცხოვრებელი ფართების მომატება ლოჯიების მიშენების ხარჯზე. თბილისისგან განსხვავებით, ბოლონიური ლოჯიები არ არღვევენ არქიტექტურულ მთლიანობას და ბეტონის ხიმინჯების ნაცვლად ლამაზთაღოვან საყრდენებზე დგანან. თაღოვანი დერეფნები ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ბოლონიაში წვიმის დროსაც კი შეგიძლია, მთელი ქალაქი მოიარო და არ დასველდე.

ნეაპოლს საბჭოთა კავშირშიც კარგად ვიცნობდით გენიალურ ფილმ „ოპერაცია წმინდა იანუარიუსიდან“. ამ კომედიის გადაღებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ნეაპოლი არ შეცვლილა, მას წმინდა იანუარიუსი დღესაც მფარველობს და ის ცნობილი საგანძურიც ადგილზეა. ფეხბურთის წყალობით კი, დღეს ამ ქალაქმა ქართველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ნეაპოლის აეროპორტში ტაქსიში თუ ჩასხდებით და ხვიჩა კვარაცხელიას ახსენებთ, ქალაქის ცენტრისკენ მომავალ გზაზე იტალიელი ტაქსისტის 40-წუთიანი აღფრთოვანებული მონოლოგი გარანტირებული გაქვთ.

ჩემი პირველი ვიზიტისას კი საქართველოსა და ქართველებზე ბევრი არაფერი სმენოდათ ნეაპოლელებს. მაშინ ჩვენ რუს ტურისტებში „გავდიოდით“ და მასპინძლებისთვის გვარიანად მსუყე ლუკმა ვიყავით, რადგან მოქნილმა და გაქნილმა იტალიელებმა იმ დროისათვის უკვე მთელი ინფრასტრუქტურა შექმნეს იტალიური ფეხსაცმლითა და ტყავის ნაწარმით სარფიანად ვაჭრობის მიზნით. მაშინ პირველად შევეჩეხე „კაპიტალისტური“ მარკეტინგის თავისებურებებს, როდესაც მაღაზიაში კბილის ჯაგრისისთვის შედიხარ და ტყავის ლაბადით გამოდიხარ.

ნეაპოლში პირველად დავაგემოვნეთ პიცა, ანუ როგორც ჩვენ ვეძახდით - იტალიური ხაჭაპური. ნეაპოლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა მართლაც არის, მაგრამ იტალიური სამზარეულოს გვირგვინი სულაც არაა პიცა. იმ სახით, როგორითაც ჩვენ ვიცით, პიცა, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნეში შეიქმნა, თუმცა არსებობს ძველი რომაული ფრესკებიც, რომლებზეც მსგავსი კერძია გამოსახული. პიცა ღარიბების კერძად მიიჩნეოდა, რადგან ძირითადად სხვა კერძებიდან მორჩენილი ინგრედიენტებისგან მზადდებოდა. პიცის პოპულარობას ხელი შეუწყო ევროპასა და განსაკუთრებით ამერიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში იტალიური ემიგრაციის დიდმა ტალღამ. არის თუ არა პიცა ხაჭაპურის ნათესავი? რა თქმა უნდა - არა. ამ ორ კერძს შორის განსხვავება უფრო მეტია, ვიდრე მსგავსება. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ქართველებს ვთქვათ, რომ ხაჭაპური რაღაცით ჰგავს პიცას, როდესაც ხაჭაპური ისეთივე ადგილს დაიკავებს მსოფლიო გასტრონომიაში, როგორიც დღეს პიცას უკავია.

იტალიაში პირველი ვიზიტისას საბჭოთა ტურისტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღმოჩენა ნაყინი იყო. იტალიური ნაყინი, ანუ Gelato, ბევრად სჯობდა მოსკოვის ნაყინს, აი, ГУМ -სა და ЦУМ -თან რომ იყიდებოდა, იმ ესკიმო ნაყინსაც კი!

პასტა (Pasta) იტალიელების იდენტობაა, როგორც ხინკალი - ქართველების. საბჭოეთში პასტას რატომღაც მაკარონი შეარქვეს და ყველა ფორმის პასტას მაკარონს უწოდებენ. სინამდვილეში, მაკარონე (Macarrone) პასტის მხოლოდ ერთი სახეობაა. იტალიელებს კი პასტის ოთხასზე მეტი სახეობა აქვთ.

მთავარი კითხვა, რომელზედაც იტალიაში პირველი ვიზიტისას ვეძებდი პასუხს, ასეთი იყო: ვგავართ თუ არა ქართველები იტალიელებს?

ქართულ და იტალიურ სამზარეულოებს ბევრი მსგავსი კერძი აქვთ. მაგალითად, მოცარელა ძალზე წააგავს სულგუნს, პიცა - ხაჭაპურს, რავიოლი - ხინკალს, პოლენტა - ღომს. იტალიური grappa კი ჩვენებური ჭაჭაა. მაგრამ ეს მსგავსება მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს: ჩვენც ერთ დროს მედიტერანული კულტურისა და ცივილიზაციის ნაწილი ვიყავით. შემდეგ, სამყაროს ამ ნაწილს მოწყვეტილები, საუკუნეების განმავლობაში ვიზილებოდით აზიურ ტალახში და რუსულ ჭაობში მანამ, სანამ ისევ არ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი ადგილი და ჩვენი Dolce Vita ევროპაშია, გეოგრაფიულად არც თუ ისე შორს, ვიდრე სანკტ-პეტერბურგი ან მოსკოვია.

როდესაც ავტობუსი ღამის საფარს მიაპობდა ევროპული ცივილიზაციის ცენტრისკენ, მეგონა, რომ ძნელი არ იქნებოდა ამ მანძილის გადალახვა. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა და ჯერაც მხოლოდ ავტობუსებით და თვითმფრინავებით ვფარავთ იმ გზას, რომელიც ჩვენსა და ცივილიზებულ ევროპას შორის ძევს.

ხოლო როდის გადავლახავთ ამ მანძილს მენტალურად - არავინ უწყის.

ლევან სებისკვერაძე

ქართული მეღვინეობის აქილევსის ქუსლები

„ქელეხის ღვინო“

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები სამართლიანად ვამაყობთ უძველესი მეღვინეობითა და ღვინის კულტურით, ჩვენში ჯერ ისევ ფესვგადგმულია გაკეთებული, ე.წ. შაქრიანი, ღვინის დაყენებისა და მოხმარების მავნე ჩვევა, რომელიც სათავეს იღებს საბჭოთა კავშირის ეპოქიდან, როდესაც შაქარწყლით ღვინის გაბევრება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.

ეს მავნე და ცუდი „ტრადიცია“ განსაკუთრებით დიდ, ქორწილისა და ქელეხის, სუფრებზე იკვეთება, როდესაც მასპინძლები ხარჯის დაზოგვის მიზნით ყოვლად მდარე, გაყალბებულ ღვინოს იძენენ და სთავაზობენ სტუმრებს. ჩვენში უკვე დამკვიდრებულია ტერმინი „ქელეხის ღვინო“, რაც საკუთარ თავში გაყალბებულ, იაფფასიან სასმელს გულისხმობს, რომელსაც „ღვინო“ მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც, ვთქვათ, ქორწილში ოჯახმა თავი არ დაზოგა ფანტასტიკური სუფრის გასაშლელად, გასწია საკმაოდ დიდი ხარჯი, მაგრამ თანხის დაზოგვა რატომღაც მაინცდამაინც ღვინოზე მოინდომა და ამის გამო სუფრას ლაზათიც დაეკარგა და ხარისხიც. რაც მთავარია, ნამდვილი ღვინის მოყვარული ადამიანებისათვის, ასეთ სუფრებთან სხდომა მძიმე, დამთრგუნველ რუტინას წარმოადგენს.

დღეს გაყალბებული და შაქარ-წყლიანი ერთი ლიტრი თეთრი ღვინის შეძენა თბილისში ლარ-ნახევრადაც შეიძლება. 2-ლარიან, ასევე გაყალბებულ, ღვინოს კი მავანნი „ნამუსიანად გაკეთებულს“ უწოდებენ. ეს მაშინ, როდესაც თბილისში თუ ვერა, გარე კახეთში ნორმალური, ნამდვილ ყურძნის წვენზე დაყენებული ლიტრი რქაწითლის შეძენა 3-3.5 ლარადაც შეიძლება და ფასთა შორის სხვაობა ნამდვილად არაა იმდენად დრამატული და თვალსაჩინო, რომ ისედაც დიდი ხარჯის გამწევი ადამიანები ამან შეაფერხოს და სტუმრებს, ღვინის ნაცვლად, საშინელი, გაურკვეველი რაობის სითხე შესთავაზონ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები სამართლიანად ვამაყობთ უძველესი მეღვინეობითა და ღვინის კულტურით, ჩვენში ჯერ ისევ ფესვგადგმულია გაკეთებული, ე.წ. შაქრიანი, ღვინის დაყენებისა და მოხმარების მავნე ჩვევა, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ეპოქიდან, როდესაც შაქარ-წყლით ღვინის გაბევრება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.

ქართული კანონმდებლობით, ღვინო მხოლოდ ყურძნის წვნისგან დაყენებულ სასმელს შეიძლება ეწოდოს. ღვინის გაყალბებას კანონმდებლობა კრძალავს. თუმცა, კანონი რთულად დაარეგულირებს ე.წ. ჩამოსასხმელი ღვინით ვაჭრობის პროცესს, რადგან, როდესაც მომხმარებელი მყიდველისგან შაქარ-წყალზე დაყენებულ ღვინოს იძენს, როგორც წესი, მან უკვე იცის, რასაც ყიდულობს და არათუ აპროტესტებს ამ ფაქტს, არამედ ღვინის სიიაფის გამო შენაძენით ფრიად კმაყოფილია. ორ სუბიექტს (გამყიდველსა და მყიდველს) შორის შემდგარი გარიგება (რომელიც არცერთ საგადასახადო დოკუმენტში არ აისახება) სახელმწიფოსთვის, ბუნებრივია, უცნობი დარჩება. ამ პროცესის თვალყურისდევნებით, სიმართლე რომ ვთქვათ, არც სახელმწიფო იწუხებს თავს.

სრულიად სხვა შემთხვევა ბოთლის ღვინო, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მაინც რაღაც დონეზე კონტროლდება და აშკარად გაყალბებული ღვინო ბოთლირებული სახით ჩვენს ღვინის ბაზარზე, საბედნიეროდ, თითქმის აღარ მოიპოვება. თუმცა ერთია, როდესაც ღვინო ოფიციალურად, აქციზით, წარმოების ლიცენზით გადის ღვინის ბაზარზე და სრულიად სხვა შემთხვევაა, როდესაც ადამიანი სადმე, კორპუსის სარდაფში, კუსტარულად ფსევდოღვინოს აყენებს. სამწუხაროდ, ასეთი „მეღვინეების“ რაოდენობა საქართველოში არცთუ მცირეა.

ღვინოსთან დაკავშირებული განათლების დაბალი დონე

რამდენიმე წლის წინ თბილისში გამართულ ღვინის ერთ-ერთ ფესტივალზე მომხმარებელმა ღვინის კომპანიის წარმომადგენელ გოგონას ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა ქართლის ერთ-ერთი ცნობილი ჯიშისგან - ჩინურისგან წარმოებული ღვინო, რაზეც გოგონამ გაკვირვებითა და ერთგვარი ირონიით მიუგო, რომ მათ მხოლოდ ქართული ღვინოები ჰქონდათ და ჩინური ღვინო არაფერში სჭირდებოდათ.

ღვინოსა და მეღვინეობასთან დაკავშირებული განათლების დონე, სამწუხაროდ, საქართველოში არცთუ მაღალია და, როგორც ზემოთ მოყოლილი ამბიდან ჩანს, ცოდნის სიმწირით მომხმარებლებზე არანაკლებად ღვინის კომპანიების წარმომადგენლები და რესტორნებში ე.წ. ღვინის მრჩევლები გამოირჩევიან. ცხადია, ყველას ვერ დავაბრალებთ საქმის არცოდნას და ნამდვილი პროფესიონალიც ბევრია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ,

მიუხედავად ღვინის ექსპორტის არნახული ზრდისა, ქართული ღვინის სექტორში განათლების დონე კვლავ დიდ გამოწვევად რჩება და ამას, ჩვენი თანამემამულეების გარდა, უცხოელებიც კარგად ხედავენ.

ცნობილი უკრაინელი ბლოგერი, რომელიც ძირითადად კონფლიქტების შესახებ წერს, გასულ ზაფხულს საქართველოში იმყოფებოდა. ეს ადამიანი პირველადი პროფესიით ღვინის ტექნოლოგია და ძალიან კარგად არჩევს ღვინოებს, ამას გარდა, იმასაც ხვდება, როგორი სტილის ღვინო რომელ კერძს შეიძლება შეეხამოს. სწორედ ამიტომ იგი გაოცებული წერდა, რომ ბათუმში ყოფნისას ერთ-ერთ პოპულარულ რესტორანში იქაურმა ღვინის მრჩეველმა ღორის მწვადთან მისაყოლებლად, წითელი მშრალი ღვინის ნაცვლად, თეთრი ნახევრად ტკბილი „ტვიში“ ურჩია - აქაოდა სლავებს ნახევრად ტკბილი ღვინოები უყვართ და ამ ადამიანსაც ასეთი მოეწონებაო.

ფაქტია, რომ მეღვინეობის რვაათასწლოვანი ისტორიით სამართლიანად თავმომწონე საქართველოში ღვინოსთან დაკავშირებული განათლების ზოგადი დონე არასასურველად დაბალი და პრობლემურია.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ინტერნეტის საშუალებით დიდი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, ღვინის შესახებაც მრავალი რამის გაგება შეიძლება. თუმცა ერთია, როდესაც ინტერნეტში მცირე დროის დაკარგვით მინიმალურ ინფორმაციას ღვინის რიგითი მომხმარებელი ეცნობა და მეორეა, როდესაც ღვინის გიდი ინფორმაციას ზერელედ იღებს. არადა, მისი პირდაპირი მოვალეობა უნდა იყოს ქართული და, ზოგადად, ღვინის ღრმა ცოდნა, რადგან სწორედ ეს კონკრეტული ადამიანები აცნობენ ჩვენს ქვეყანას უცხოელებს, სახელდობრ, მეღვინეობის კუთხით.

გასული საუკუნის 90-იანი წლებისგან განსხვავებით, საქართველოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში დღეს ნამდვილად არსებობს მეღვინეობის მიმართულების ფაკულტეტები, სადაც, ასე თუ ისე, შესაძლებელია ღვინის შესახებ ცოდნის შეძენა. თუმცა დღევანდელი განათლების სისტემაც, სამწუხაროდ, სტერეოტიპული შეხედულებებითაა სავსე და ახალგაზრდებს ძირითადად კონვენციური, მასობრივი წარმოების ღვინის შესახებ აძლევენ ცოდნას. ეს მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში თანდათან პოპულარული ხდება ბუნებრივი და ბიოდინამიკური მეღვინეობის ფილოსოფია.

ქართველი მეღვინეების ერთ ნაწილში უკვე წლებია მუსირებს აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სკოლის დამამთავრებელ კლასებში მეღვინეობა ერთსემესტრიან საგნად იყოს შეტანილი და ჩვენს ახალგაზრდებს ბავშვობიდანვე მიეცეთ ცოდნა თუნდაც ქართული ვაზის ჯიშებისა და მევენახეობა-მეღვინეობის არსის შესახებ. ამ იდეებმა ჯერ-ჯერობით ხორცი ვერ შეისხა. ის კი ფაქტია, რომ მეღვინეობის რვაათასწლოვანი ისტორიით სამართლიანად თავმომწონე საქართველოში ღვინოსთან დაკავშირებული განათლების ზოგადი დონე არასასურველად დაბალი და პრობლემურია. ■

ლევან გურიელიძე

ერთხელ გაგრის ბარში

ბელა ახმადულინა

70-იანი წლების ბოლოა ან 80-იანის დასაწყისი. ინსტიტუტიდან განაწილებით ვარ გაგრაში - აფხაზეთის პატარა, კოხტა ქალაქში, რომელზეც მშვენივრად არის მორგებული ეს ლამაზი სვანური სახელი. ზაფხულია და მსტუმრობს თანაკლასელი - იმ ჯიშისა, მეგობრად რომ კი არ მოიძევ, გვერდზე ძმასავით რომ დაგისვამენ მერხზე პირველ კლასში. ამ ჩემს თანაკლასელს, თან დოქის ტუჩი ურჩევნია ქალისას და შუადღისას მთხოვს, სადმე ისეთ ადგილას წავიყვანო, რომ პირის გასველებაც შეეძლოს და ძალიანაც არ ჰგავდეს სასადილოს.

მიმყავს ლიტფონდის ბარში. ბარი ჰქვია, თორემ, სინამდვილეში ბუფეტია და ბარმენის მაგივრად იმდროინდელი „ნიანგების“ უცვლელი გმირი - თეთრხალათიანი მებუფეტეც ემსახურება. ამ ბარს ერთი ისა აქვს სასიკეთო, რომ ზედ ზღვის სანაპიროზეა.

ეს ჩემი კლასელი იღებს კონიაკს და თვალები დალევამდე უკვე უციმციმებს. ვსხდებით მაგიდასთან - პატარა თლაშოებში ასხამს და მზეს უშტერებს თვალს, თან თავის ანგელოზებს უცინის, როგორც ჩვილი ბავშვი სიზმარში. მეორე ჩამოსხმაზე, უეცრად ჩემი მხრიდან ქალის გამოწვდილ ხელს ვამჩნევ - ჩემს გადასწვრივ ამ ჩემი კლასელისკენ აქვს ხელი გაშვერილი და მიმართავს რუსულად - მომიკიდეთ, თუ შეიძლება («прикурите, пожалуйста»). ეს ჩემი კლასელი ხვდება, რას უნდა მოუკიდოს: უსხამს თლაშოში კონიაკს და გემრიელად ჩაიღიმილებს.

იმან ხომ მოითავა თავისი საქმე, ახლა ჩემი ვიკითხოთ - მოვტრიალდი ქალისკენ და ცოცხალი ბელა ახმადულინა შემრჩა ხელში! ციდან ჩამოვარდნილი პოეტის მეზობლობით როგორ არ ვისარგებლებდი და, რასაც ჰქვია, გული ვიჯერე მასთან საუბრით. დღემდე ბევრი აღარაფერი დამრჩა ამ საუბრიდან, მაგრამ ის კი ბეჯითად მახსოვს, თავისებურად, მუსიკალური წამღერებით როგორ აღმატებულად ახსენებდა სიმონ ჩიქოვანს

(„სიმონი? აბა, სიმონი - ჰო, რუსულად თუ ქართულად?“) და როგორ ნაზად და ასეთივე წამღერებით წარმოთქვამდა პაოლოსა და ტიციანის სახელებს.

ამასობაში ჩემმა კლასელმა კიდევ ერთხელ ჩამოასხა კონიაკი და ბელამ კიდევ გაიწვდინა მისკენ ხელი. ცხადია, კიდევ ერთხელ დაუსხეს კონიაკი და ამის შემდეგ ბელა მთლიანად გალაკტიონზე გადავიდა - სხვათა შორის, თავისი თარგმანიც არ დავიწყებია და თვალებმინავლებული მიკითხავდა „მერის“:

„Венчалась Мери в ночь дождей,
И в ночь дождей я проклял Мери.
Не мог я отворить дверей,
Восставших между мной и ей,
И я поцеловал те двери“...

ჩემი მხრიდან შესიტყვებისა მარტო ის მაგონდება, რომ ცოტათი დისონანსის შეტანა მომინდა და ვკითხე, იცოდა თუ არა, ტერენტი გრანელი „დემონს“ რომ ეძახოდა გალაკტიონს. ბელა უეცრად შეჩქვიფდა და მკითხა, ვინ იყო ტერენტი გრანელი - სავარაუდოდ, მისი წრის ქართველი მეგობრები ტერენტი გრანელის ვინაობის გამხელით დროს არ დაკარგავდნენ ბელასთან.

ამასობაში ჩემმა კლასელმა კიდევ ერთხელ ჩამოასხა და, როდესაც ბელამ ისევ გაიწვდინა ხელი, ჩამოსხმით კი ჩამოუსხა, მაგრამ ეს ჩემი კლასელი უეცრად აფეთქდა - როგორც ჩანს, მოჰბეზრდა მზისთვის თვალის გასწორება და ჩემმა საქციელმაც აღაშფოთა - ბუნებრივია, ქალის ჩაცმულობით, გარეგნობითა და ასაკით (ბელას უბრალო სარაფანი ეცვა და ნახევარ საუკუნეს ატანებული, ლოყებჩაცვივნული მონღოლოიდური იერსახე ზედ აკვდებოდა ამ სარაფანს) ხვდებოდა, რომ მე მის შებმას არ ვცდილობდი და ვერ გაერკვია, ვინ იყო ეს ქალი, რომ მასთან ლაპარაკი მერჩივნა მეგობართან ერთად მუღამიანი სადღეგრძელოს წარმოთქმას:

- რას შვრები, კაცო, ამ აშარაშკას თავს როგორ უყადრებ, მთელი ბოთლი დამაცლევინა... ამის გულისთვის მომიძულე ძმაკაცი?

ელვისებურად ფეხზე წამოვიჭერი და ამ ჩემს კლასელს წინ ავეფარე, თითქოს შემძლებოდა მისგან წამოსროლილი უკმეხი სიტყვის დაჭერა, მაგრამ ის სიტყვა უკვე ნათქვამი იყო და, ჩემდა საუბედუროდ, სწორედ რუსულად ჟღერდა უკმეხად - მაგრამ ნათქვამ სიტყვას რაღას დავიჭერდი!

როდესაც ჩემს ადგილზე დავეშვი მოწყვეტით, ბელა უკვე იქ აღარ იყო - არ ვიცი, თანამეინახეებმა უხმეს თუ ზღვაზე ჩავიდა საბანაოდ.

მთელი დღეები ძალიან უგემურად ვიყავი, სულ იმას ვდარდობდი, ნეტავ, გაიგებდა თუ არა ბელა იმ სალანძღავ სიტყვას და რამდენიმე დღეში, როდესაც თანაკლასელი თბილისში გავისტუმრე, ერთ საღამოს კიდევ მივაკითხე ლიტფონდის ბარს.

თვალებით ამაოდ ვეძებდი ბელას, მაგრამ მის ნაცვლად ბარში დამხვდა თბილისური ბომონდი, რომელიც ზაფხულობით გაგრაში სწორედ ლიტფონდს სწყალობდა ხოლმე და მათი ჟივჟივის დროს ყური მოვკარი ფრაზას, თუ როგორ ჩაუფსია რამდენიმე დღის წინ ბელა ახმადულინას... მაგრამ, უნდა გენახათ, რა სინაზითა და სინატიფით იყო ეს ამბავი ნათქვამი - სულხან-საბასგან ლუდოვიკოს ხოტბისა არ იყოს, ყველა მოისურვებდა ისე პოეტურად ჩაფსმას, როგორც ეს ჩაეფსა ბელა ახმადულინას!

იმათ, რა და - მე კი ახალი სადარდებელი გამიჩნდა - ბელას წყენინება სულ გადამავიწყდა, იმ ფიქრებმა არ მომასვენა - ჩვენი კონიაკის ბრალი ხომ არ იყო პოეტესას მარცხი!?

ამაო ხიბლი ფრანგული პრონონსის

გაგრის ლიტფონდის დასასვენებელი სახლი ბრეჟნევის დროის საბჭოთა პერიოდში თავისებური მექა იყო სატახტოდან ჩამოსული ელიტარული დამსვენებლებისათვის. თუმცა, დასახელებისდა მიუხედავად, ადამიანთა სულის ინჟინრების ნაცვლად, იქ უფრო ხშირად მათი ოჯახის წევრები და ახლობლები ჩამოდიოდნენ, ხოლო, მათ გარდა, რომ საბჭოთა პარტიული აპარატის თანამშრომლები - ეს, თავისთავად!

ზაფხულობით განსაკუთრებულად იგრძნობოდა ქალბატონების სიმრავლე და მათ შორის ისინი, ვინც ასაკის გამო არ იყვნენ ჩართულნი საზაფხულო-საზღვაო რომანტიკულ-ინტიმურ თავგადასავლებში, სადილის შემდეგ იკრიბებოდნენ ლიტფონდის ბარში და ყავას მიირთმევდნენ.

ყავის სმის პარალელურად იყო გაცხოველებული საუბრები მაღალ მატერიებზე - კინოსა და თეატრის, ზოგადად ხელოვნებისა და ლიტერატურის პრობლემებზე, ასევე, იმ სიახლეებზე, რომლებიც მხოლოდ მათთვის - მაღალი საზოგადოების ქალბატონებისათვის იყო ხელშესახები. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ისინი თავად არც კი ყოფილიყვნენ ჩართულნი შემოქმედებითად ლიტერატურულ პროცესებში, იმ ნარჩენებით ხომ მაინც იკვებებოდნენ, რომლებიც მათი მამებისა თუ ქმრების შემოქმედებითი დაზგებიდან ცვიოდა და, გარდა ამისა, იმ სხვადასხვა ბომონდური შეკრებილობებიდან, საიდანაც გამოდიოდა ათასი ჯურის ჭორები და ტყუილ-მართალი. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ ხელი მიუწვდებოდათ ისეთ ამბებსა და მოვლენებზე, რომლებიც სრულიად დაფარული იყო რიგითი საბჭოთა ადამიანებისათვის და, ამავე დროს, იმ პრივილეგირებულ სამყაროსაც წარმოადგენდნენ, რომლისთვისაც ღია იყო სავალუტო „ბერიოზკის“ კარი საზღვარგარეთული სამოსლისა და სამკაულების შესაძენად; მათი შვილებიც საგანგებო პრესტიჟულ სასწავლებლებში იღებდნენ განათლებას და სრულიად თავისუფლად მოგზაურობდნენ დასავლეთის ქვეყნებში, როდესაც დანარჩენი მოქალაქეებისთვის მთელი საზღვარგარეთობის მწვერვალს ბულგარეთი წარმოადგენდა!

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ СССР
Среда, 21 августа 1968 года
ЗАЯВЛЕНИЕ ТАСС
ЭНЕРГИЯ

და აი, ერთხელ მოხდა ისე, რომ მეც აღმოვჩნდი ასეთი შეკრებილობის უნებლიე მონაწილე, რადგან მათი მაგიდის სიახლოვეს ვიმყოფებოდი. მიმდინარეობდა მსჯელობა გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული იმ სტატიის ირგვლივ, რომლის ავტორიც გახლდათ გაზეთის მიმომხილველი, მელორ სტურუა. ჩვენს ასაკოვან თანამემამულეებს ემახსოვრებათ, რომ იყო ასეთი, ეროვნებით ქართველი რუსულენოვანი ჟურნალისტი, რომელიც „იზვესტიასთან“ თანამშრომლობდა და აწვდიდა მას მასალებს აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან. ქალბატონების იმდღევანდელი საუბარი ეძღვნებოდა მისი უკანასკნელი სტატიის განხილვას, რომელიც დასავლური სამყაროს პოლიტიკოსებთან პოლემიკას ასახავდა. მსჯელობას სათავეში ედგა ზომიერად ჩათქვირებული ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც, ეტყობა, სხვათაგან გამორჩევას მხოლოდ საუბრის წამყვანის როლით არ სჯერდებოდა და გამომწვევი სამოსითაც ცდილობდა: წითელ-ყვითელი ზედატანი მწვანე შორტებში ჰქონდა ჩატანებული და თავზე რაღაცნაირი ჭრელბუმბულებიანი ჯიღა ედგა - დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიტყვით, მთლად ოლიგარქის თუთიყუშს ჩამოჰგავდა. როგორც ჩანს, გაზეთი „იზვესტიაც“ მისი მოტანილი იყო და სტატიით აღფრთოვანებული, ხშირ-ხშირად და დაგემოვნებით იხსენიებდა ავტორის სახელსა და გვარს, რომელიც, მისგან წარმოთქმული, დაახლოებით ასე ჟღერდა: „მელოოოორ სტურუაااა“, მახვილებით ბოლო ხმოვნებზე, რითაც არაორაზროვნად ავტორის გაფრანგების სურვილს ამჟღავნებდა.

მართალია, რუსები მათი ჟურნალისტების გაფრანგებას კი არა, ყველა არარუსის გარუსებას ცდილობენ და მათთვის დოსტოევსკიც და ტოლსტოიც ძირძველი რუსები არიან, მაგრამ სტურუას ხომ დოსტოევსკის სიმაღლეების პრეტენზია ვერ ექნებოდა და ფრანგი ჟურნალისტის რუსული საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დამცველის რანგში ხილვა დიდად აამებდა ქალბატონის პატივმოყვარეობას - თანაც ეს ვინმე რევოლუციონერი მარატი ხომ არ იყო - „მელოოოორ სტურუაااა“ „შარლ ლერუასავით“ ჟღერდა! მას თანამეინახენიც სიამოვნებით ეთანხმებოდნენ და პირიდან აცლიდნენ ერთმანეთს ჟურნალისტის საქებარ სიტყვებს - თუ როგორ ოსტატურად მოუჭრა სიტყვა სტურუამ დასავლელ პოლიტიკოსს, როგორი მტკიცე არგუმენტებით იცავდა საბჭოური სისტემის უპირატესობას და რა დიპლომატიური წიაღსვლების გამოყენებას ახერხებდა ამისათვის. ის დანარჩენებიც, ცხადია, გამოთქმითაც ბაძავდნენ მთავარ ქალბატონს და ფრანგული პრონონსით ისმოდა „მელووووور“ და „სტურუაااااა“ - იყო ერთი ტუჩების ცმაცუნი და ენის წკლაპუნი!

ჰოდა, როცა მორიგ ჯერზე კიდევ მოიყვანა ფრანგი ავტორის ჟურნალისტური სიმამაცის მაგალითი, მისდა სამწუხაროდ, ეს ქალბატონი მოულოდნელად ჩემკენ მოტრიალდა და თანხმობის მიღების ჟინით აღვსილმა რომელიღაც თავის დებულებაზე ჩემი დასტური ითხოვა - „ასე არ არის?“.

- ცხადია, ისე იქნება, როგორც თქვენ გენებებათ, - დავეთანხმე, - ოღონდ, ერთი პატარა შენიშვნით: ქართულ გვარებში მახვილი უნდა დავსვათ არა ბოლო ხმოვანზე, არამედ - პირველზე: ანუ, არა „სტურუაა“, არამედ „სტუურუა“.

ვერანაირად ვერ შევძლებ იმ გამომეტყველების აღწერას, რა გამომეტ-ყველებაც იმ ქალბატონს აესახა პირისახეზე და უნდა გადავმისამართდე ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებთან“ - ილია რომ ეუბნება რუს ოფიცერს, სომეხი სოვდაგრის დახლიდარი ვარო: რა სახეც მგზავრის წერილებიდან იმ ოფიცრისა გახსოვთ ამის გაგონებაზე, სწორედ ისეთი სახე მიიღო ამ ჩემმა ქალბატონმა, ოღონდ არ უთქვამს: „მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსაო“, და პირდაპირ მომახალა:

- რით დამიმტკიცებთ, რომ ქართველია?

- რა დამტკიცება უნდა, - მშვიდად მივუგე მე, - თქვენ რომ ავტორის სახელი გგონიათ, ეგ სახელი კი არა, აბრევიატურაა და ნიშნავს: „მარქს-ენგელს-ლენინ-ოქტომბრის რევოლუციას“ - მამამისი პარტიული მუშაკი იყო და თავის შვილსაც იმიტომ დაარქვა „მელორი“!

არა, მშობლიური საბჭოთა ქვეყნის წარმატებები ხომ ძალიანაც მოს-წონდათ და ამაყობდნენ კიდეც, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის ხსენება მაინცდამაინც მოსული პონტი არ იყო ამათ წრეებში.

„ოქტომბრის რევოლუციაო?“ - ქალბატონს სახე აელანძა, აუფორეჯდა და მყისიერად შესძახა დანარჩენ ქალბატონებს:

- რა ყავის სმა და საუბრები აგვიტყდა; მოსკოვში არ გვექნება განა საამისოდ დრო, თუ როგორა გვაქვს საქმე? ოქროს წუთებს ვკარგავთ - აბა, დავირაზმეთ და წავედით პლაჟისაკენ!

ყველანი ერთბაშად წამოიშალნენ და ცუხცუხით გაჰყვნენ უკან.

დავრჩით მაგიდასთან მე და გაზეთი „იზვესტია“, რომელზეც სიჩქარეში ერთ-ერთ ქალბატონს ყავის ნარჩენი დაღვროდა და სტატიის ავტორის სურათი ყავისფრად დაედღაბნა... ■

გუგა სულხანიშვილი

თბილისი იყო ურთიერთობა

რამდენიმე დღის წინ ბიჭი მოუკლავთ მთაწმინდაზე. რამდენიმე გასროლით. ან რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი გასროლით. რომელიღაც გასართობ დაწესებულებაში დაწყებულა კონფლიქტი და ასე დამთავრდა.

6-7 წლის ვიყავი ალბათ, როდესაც ოჯახის წევრებისგან სკოლის ეზოში დამოუკიდებლად წასვლის ნებართვა მოვიპოვე. სკოლა და მისი ეზო, სადაც ფეხბურთის მოედანი იყო, ჩვენი სახლიდან სადღაც 50-60 მეტრში მდებარეობდა. რუსული სკოლის ძველი წითელი აგურით ნაშენები ლამაზი შენობა ჩვენი ფანჯრებიდან კარგად ჩანდა, მაგრამ ეზო-მოედანი სიღრმეში იყო და თვალთახედვის არეში არყოფნის გამო ჩემი იქ გაშვება მშობლებს არ ეპიტნავებოდათ.

ნებართვის მიღება ნიშნავდა, რომ ჩემი საფეხბურთო ვნება და ტალანტი (ირონიულად ვამბობ, რასაკვირველია) გასცდებოდა ჩვენი ბინისა და იტალიური ეზოს ერთობ შეზღუდულ ფარგლებს. მეზობელ ვახოსთან ერთი ერთზე თამაშის მაგივრად, შესაძლებლობა მეძლეოდა, დიდ, ნამდვილ საფეხბურთო მატჩებში მიმეღო მონაწილეობა. მაგრამ ესეც არ იყო მთავარი: მშობლების დაჟინებულ მზერამოწყვეტილს შემეძლო, უსასრულოდ მეკნაწუნებინა მზესუმზირა, ღლაჭუნით მეღეჭა კევი,

ფეხბურთით დამაშვრალსა და გახვითქულს იმდენი ტარხუნის ლიმონათი დამელია, რამდენიც მსურდა, ამ ასაკისთვის შეუფერებლად უხვად მოგროვილი ბილწი სიტყვების მარაგი ქვეცნობიერიდან ამომეღო და უშრეტად მეფრქვია, რუსული სკოლის ქათქათა თეთრბაფთიანი, ქართული სკოლისთვის უჩვეულოდ მოკლეკაბიანი გოგო-მოწაფეებისთვის ურცხვად გამეყოლებინა თვალი. და მეურთიერთა ხალხთან. იმიტომ, რომ სკოლის ეზო, ის საფეხბურთო მოედანი, უამრავი სხვადასხვა ადამიანის თავშეყრის ადგილი იყო: უბნის ყველა ასაკის ბიჭბუჭობა, მოცვეთილპიჯაკიანი სახლმმართველი საქაღალდით და თანაშემწეებით, სამუშაომოლეული სანტექნიკოს-ელექტრიკოსები, ლოთები, მოსაშარდად შემოხვეული ტაქსისტები. და რაღა თქმა უნდა ქუჩის ბიჭები.

ტერმინი „ძველი ბიჭი“ ჩემთვის უფრო გვიან გახდა ცნობილი, სადღაც 10-11 წლის ასაკში. „კაი ბიჭი“ - კიდევ უფრო მოგვიანებით. მანამდე ეგენი, ყველანი, ჩემთვის „ქუჩის ბიჭების“ სახელით იყვნენ ცნობილნი.

ქუჩის ბიჭზე აუცილებლად მიხვდებოდი, რომ ქუჩის ბიჭია. მას სურდა, გცოდნოდა მისი სტატუსი და იმიტომ. გარდა იმისა, რომ ყველაზე მეტს შეიგინებოდნენ, სკოლის პაპკას ყველაზე უდიერად (ნიბრეჟნად) მოისროდნენ, კიდევ იყო რაღაც ავყია, რაღაც ხელოვნური ზნექი მათ ქმედებაში. ფეხბურთსაც კი სხვანაირად თამაშობდნენ: ეზოს სამკვდრო-სასიცოცხლო

თამაშის დროს სხვა არაფერი გახსოვს. ის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალიც არის და ლიგისაც, ოღონდ - არა ქუჩის ბიჭებისთვის. თამაშის მათეული მანერა თუ პათოსი გამოხატავდა, რომ ფეხბურთი მეორეხარისხოვანია და მნიშვნელოვანია რაღაც სხვა. და ეს რაღაც სხვა არის თვითონ. ის - ქუჩის ბიჭი. მაგალითად, გაგანია თამაშში შეეძლო, ბურთისთვის ხელი დაევლო, ფეხი ქვემოდან ამოეკრა და ღობის იქით გადაეგდო. უბრალოდ, ჩაეკუკა თამაშში და ამაზე მაგრად ეცინა, ან უაზრო მატაობა აეტეხა, ან მოედნის კიდესთან მდგარ ტიპთან სერიოზული საუბარი გაება და ვინმე თუ თამაშში მობრუნებისკენ მოუწოდებდა, იქიდან გაბრაზებულს დაეღრიალა: ვერ ხედავ, შეჩემა, ვბაზრობ!!!

იყო კიდევ ერთი ნიუანსი: ჩემი უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, ასაკით პატარას ხშირად მაყენებდნენ კარში. გაცხარებულ თამაშში კაი უდარებიც მოდიოდა თინეიჯერ-ზრდასრულებისგან. მოგერიებულზე დარტყმის ავტორი აუცილებლად მეტყოდა: „ვახ, გუგაჯან, დამავიწყდა, რომ შენ ხარ“. ან: „ხელი ხომ არ გეტკინა, პატარა ბიჭი“. ეს არ ნიშნავდა, რომ ერთ წუთში უფრო ძლიერ უდარას არ დამაჯახებდა, მაგრამ ეს იყო თავაზიანობის, ეზოს ფეხბურთის ეტიკეტის ნაწილი. და ამას აკეთებდა ყველა, გარდა ქუჩის ბიჭებისა. მათ აკლდათ ემპათია.

თამაშის მერე ყველანი ჩამოვსხდებოდით ან სკოლიდან გადმოყრილი ძველი მერხების ნარჩენებზე, ან პირდაპირ ბორდიურებზე. ქუჩის ბიჭი აუცილებლად ცენტრში. იქ იწყებოდა ქადაგება: როგორია სწორი სიტყვა-

პასუხი, რა შემთხვევაში რა უნდა ითქვას, სად უნდა აკოცო ქალს და სად - არა, რა სახის შეურაცხყოფაზე რა სახის პასუხია გასაცემი, რა ზიანი მოაქვს ონანიზმს ადამიანისთვის და მრავალი სხვა. და ფურთხება. ეს საოცარი, უნიკალური, ავთენტიკური თბილისური ფურთხება. ლოყების დაბერვა და თითქოს პნევმატური თოფიდან გასროლის ხმით გამოტყორცნილი ნერწყვი. და ამ დანერწყვებული ტბორის შუაგულში მჯდარი მქადაგებელი. ვის არ გადაგვიფურთხებია, მაგრამ ფურთხების ეს საოცარი შოუ მხოლოდ განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად იდგმებოდა.

და კიდევ იყო კრიმინალური და ნახევრად-კრიმინალური ამბების თხრობა. ის დავჭერი, იმას წავართვი, იქ აკუმულატორი მოვიპარე, ის მაღაზია გავტეხე და ამდენი შამპანური წამოვიღე. ერთხელაც, მივიხედ-მოვიხედე და, მიუხედავად ჩემი ასაკისა, დიდი ჭკუა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ, თუ ეს ამბები ამდენმა ხალხმა იცის, რაც ახლა გარს გვახვევია, რანაირად არ იცის მილიციამ? პირდაპირაც ვიკითხე, მილიციამ არ იცის-მეთქი? რომ იცოდეს, ხომ ციხეში ვიქნებოდიო. და აქედან რომ ვინმე მოუყვეს-მეთქი. მოვუტყნავ დედის ტრაკსო.

იცის, იცის. იცოდა მაშინაც და იცის ახლაც, ჩვენ დროში. და ვისიც წინასწარ არ იცის, ის მართლა ციხეში ხვდება. 10-11 წლის ვიქნებოდი, ამ ჩემს მიგნებაში საბოლოოდ რომ დავრწმუნდი: სკოლის შენობასთან ჩვენი სკოლის მართლა გამორჩეული ძველბიჭობას მოეყარა თავი. ბოლოკლასელები იყვნენ. ქუჩა გადმოვჭერი და სახლისკენ დავიძარი. არ ვიცი, ზუსტად რა მოხდა, მაგრამ ერთ-ერთმა ძველმა ბიჭმა გამვლელ ტაქსისტს შეაგინა. ამ გინებაზე მივტრიალდი. ტაქსიმ მკვეთრად დაამუხრუჭა,



მძღოლი გადმოვიდა და მაგინებელს სულ ლაწირაკი უძახა. ლაწირაკი ნელა დაიძრა მძღოლისკენ, ჯიბიდან დანა ამოიღო და გასაქცევად მომზადებულ მძღოლს შიგ დუნდულაში უთავაზა. მძღოლი გაიქცა. ლაწირაკის მეგობრები არც კი განძრეულან, იმდენად დარწმუნებული იყვნენ თავიანთი მეგობრის წარმატებაში. მთელ ამ ამბავში ყველაზე შემზარავი იყო ის, რომ ამ სცენას სკოლის დირექტორი აივნიდან უყურებდა (სახელის დაწერა შეგნებულად არ მინდა). „...რას შვრები! არ გრცხვენია?! შემოდი სკოლაში ახლავე!". და ეს როგორი დირექტორი იყო, იცით? პიონერის ყელსახვევი თუ არ გქონდა რიგიანად შებმული, თავის კაბინეტში მიგათრევდა და გიბარტყუნებდა. მეოთხეკლასელების ჩხუბის გამო მილიციას ეძახდა. აქ კი ტიპმა დღისით-მზისით, ყველას თვალწინ კაცს დანა დაარტყა და ეს ჩვენი დირექტორი ხმაში სინაზეშეპარული ეძახდა, ამუნათებდა, შეგრცხვესო. მეტი არაფერი! მილიციასაც არ გამოუძახა.

გამიგრძელდა სიტყვა. არადა, რედაქტორმა, მაქსიმუმ ათასიო. შვიდას ოცდახუთზე ვარ უკვე. მაგრამ ხომ იცით, როგორ იცის ბავშვობის ამბებმა შეთრევა და შეყოლა. იმის თქმა მინდა, ჩვენნაირ ქვეყანაში კრიმინალს ძალიან უჭირს, თუ ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობა და თანა-

დგომა არ აქვს. მცირე კრიმინალთან თანამშრომლობა და თვალის დახუჭვა საბჭოთა ტრადიციაა. ამ ტრადიციამ შვა ძველი ბიჭების ქვეტრადიციაც. ლეგენდები და მითები ქუჩის სკოლებსა და რომანტიკაზე. მაგრამ საქმე რა არის, იცით? არავინ გარბის და პირდაპირ კაცს არ კლავს (უიშვიათესი გამონაკლისების გარდა). მკვლელობას წინ მცირე და საშუალო დანაშაული უძღვის. არა, ექსპერტი არ გახლავართ, მაგრამ ამას ექსპერტობა არ სჭირდება. უელემენტარულესი ლოგიკაა.

„ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!“. ვერ შეედავები: შემზარავი ფრაზაა. არ სჭირდება შეხსენება, ვის ეკუთვნის და რა ეპოქას. მაგრამ ამ ფრაზის ავტორს სიფიცხისა თუ ემოციური ფონის გამო გამორჩა მთავარი სიტყვა: „ყველა კრიმინალი ციხეში!“. დიახ, თუ ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო გვინდა, დასავლური ტიპის, რომ აზუსტებენ ხოლმე, მაშინ ყველა კრიმინალმა, მცირემაც და დიდმაც, უნდა მოიხადოს კუთვნილი სასჯელი. და ამით ბევრი სიცოცხლე გადარჩება.

და მაინც, რატომ ამდენი მკვლელობა? პასუხი ჩვენ გარემოშია. კრიმინალები, რომლებმაც თავიანთ ეკალბარდიან გზას გაუძლეს, საკმაოდ წარმატებულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. მატერიალური თვალსაზრისით ვგულისხმობ, რასაკვირველია. შესაბამისად, ეს გზა წარმატების გზაა ამ ქვეყანაში. ხოლო მკვლელობა - ამ გზაზე რიხით შედგომის იარაღი, ამ სფეროში კარის რიხით შეღების საშუალება. რაც კი რამ მკვლელობა მსმენია, 99% არ იყო რამე მოუგვარებელი საკითხი, როდესაც შენს ღირსებას მხოლოდ ვიღაცის მოკვლა გადაარჩენს. მკვლელობა განაცხადია, რომელიც კრიმინალის სივიში ოქროს ასოებით იწერება. აი, ჰარვარდი ან იელი რომ გქონდეს დამთავრებული და სამსახურს ეძებდე.

გამოსავალი? ჯერ გავიხსენოთ: 2003 წლის არჩევნებამდე, წლების განმავლობაში, ხელისუფლება მოსახლეობას არწმუნებდა, რომ ენერგოკრიზისი საქართველოს ბუნებრივი და დაუძლეველი მოვლენაა. მიგვაჩვიასავით. თითქოს ასეც უნდა იყოს. რამდენიმე ადამიანი ათობით მილიონს შოულობდა ენერგომაქინაციებით, ჩვენ კი უშუქოდ ვისხედით. უყურებ, როგორ ჩახჩახებს მსოფლიო, შენ კი უკუნში ზიხარ. მოვიდა ახალი ხელისუფლება და უშუქობას 2-3 თვეში ბოლო მოეღო. უბრალოდ, მას პოლიტიკური ნება აღმოაჩნდა, გადაეჭრა საკითხები, რომლებიც ქვეყანას წლობით ბნელეთში ამყოფებდა.

ვერ ვიტყვი, რომ კრიმინალის პრობლემაც 2-3 თვეში მოგვარდება, მაგრამ ეს საკითხიც მთლიანად პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა რომელ პოლიტიკურ ნებაზეა ლაპარაკი, როცა პრორუსი ოლიგარქი კრიმინალის ზრდისადმი გაგებით მოკიდებისკენ მოგვიწოდებს, დედაქალაქის მერი „იქ რვა სული ქურდი იჯდას“ ავტორია, ბოტასების ქურდი და ყოფილი მთავარი პროკურორი კი ამერიკის მიერ სანქცირებულ ეფესბეშნიკობამდე ამაღლდა, რომელსაც მთელი სახელმწიფო სისტემა იცავს... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კრიმინალი „ოცნების“ ერთ-ერთი გამწევი ძალაა ყველა არჩევნებზე.

პოლიტიკური ნება კი არა, შსს, სუსი და ბლატატა ერთიან კონგლომერატად ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლებას ასაზრდოებს და ჩვენს ქვეყანას წყვდიადში ამყოფებს.

„დღეს“

„ხვალ“

„ზეგ“

გარეკანი - დათო გაგოშიძე, „გუშინ“
უკანა ყდა - თეა მიქაია
ფოტოები სტატიისთვის „სივიწროვე“ - ნატო კირვალიძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება, არ გამოხატავდეს „ახალი ივერიის“ რედაქციის პოზიციას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲕᲔᲠᲘᲐ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
www.akhaliiveria.ge

2024 მარტი, №2(6)
ISSN 2720-8729

ააიპ “ჭავჭავაძის ცენტრი”
გიორგი ახვლედიანის № 20
0108, თბილისი, საქართველო

© ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 2024

ახალი ივერია

ISSN 2720-8729